საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 22 ოქტომბერი, 2014 წელი.

№215 (7596)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„მეზობლური ურთიერთობა დამამცირებელ პირობებში ② ვერ აეწყობა“

აწყვეტილი რუსეთი, გაწყვეტილი უკრაინა და გასაწყვეტი საქართველო?..

④

თბილისი ⑧ დიპლომატიურ შეტევაზე გადადის



გიორგი წერეთელი – 110



⑤

წარუშლელი კვალი ეროვნულ და მსოფლიო მეცნიერებაში...

სირცხვილია, ქალბატონო თამარ, სირცხვილი!

⑪

ჩვენი უბედურება ისაა, რომ მთლიანად(!) ამერიკაზე ვართ ჩამოკიდებული და ამიტომ მის ნებისმიერ დავალებას, თუნდაც, საქართველოსთვის წამგებიანს და სახიფათოს, უსიტყვოდ ვასრულებთ. ③

„ობიექტივის“ ერთი გადაცემის მიხედვით

◎ დღის ამოჭრაზურიდან

ერთადერთ შემთხვევაში გავამართლებდი ცოლზე ძალადობას, მხოლოდ ერთ შემთხვევაში: როცა დილით, მოგიტრიალდება და გეტყვის — დიდი ხანია, მინდოდა, მეთქვა, მაგრამ ვერ ვბედავდი ძვირფასო, რომ მე ნაციონალი ვარ“!



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტი იაპონიაში

ტოკიოში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი იაპონიის მმართველი გუნდის წარმომადგენლებსაც შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსის„ კორესპონდენტი ტოკიოდან იტყობინება, ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის გენერალურ მდივან სადაკაზი ტანიგაკსა და მმართველი ძალის სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრას საქართველოს დელეგაციის წევრები — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ გურგენიძე, პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები: ნანა ყეენიშვილი, ლერი ხაბელოვი და გიორგი ცაგარეიშვილი, ასევე საქართველოს ბიზნესწრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ეს პარტია მრავალი წელია, მმართველ ძალადაა წარმოდგენილი იაპონიაში და განსაზღვრავს იაპონიის დღევანდელ პოლიტიკას და დღის წესრიგს. ამ პარტიის წარმომადგენლები აქტიური ლიდერები არიან, ამიტომ მათთან ურთიერთობა არის აუცილებელი. ჩვენ გავცვალეთ აზრები - ვისაუბრეთ საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, თანამშრომლობის იმ პერსპექტივაზე, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს“, — განუცხადა ჟურნალისტებს შეხვედრის დასრულების შემდეგ ქართული დელეგაციის წარმომადგენელმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

უნივერსიტეტი პარლამენტს დახმარებას სთხოვს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა ე.წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით პარლამენტისგან პოლიტიკურ მხარდაჭერას ითხოვს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ლადო პაპავას პოლიტიკური მხარდაჭერა სჭირდება ამავე ტერიტორიაზე სასაფლაოს გაფართოების პრობლემაა. როგორც უნივერსიტეტის რექტორმა პარლამენტის განათლების კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ტერიტორია, სადაც გაზგასამართი სადგური კეთდება თსუ-ს კუთვნილი ტერიტორია არ არის და მასთან სამართლებრივ დავაში ვერ შევა.

პაპავას განმარტებით, აღშფოთების საგანია ის, თუ რა უნდა უნივერსიტეტის გვერდით გაზგასამართ სადგურს, ან სასაფლაოს.

„ითქვა, თითქოს ლადო პაპავამ კერძო ბიზნესს დაუწყო ბრძოლა. როგორც ეკონომისტი, სწორედ ბიზნესის განვითარებისკენ ვარ მოწოდებული, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტის ხარჯზე მით უფრო, როდესაც საუბარია ისეთ ბიზნესზე, რაც უნივერსიტეტისთვის არის შეუფერებელი. ქალაქს სჭირდება გაზგასამართი სადგურიც, სასაფლაოც, სახინკლეც, მაგრამ არა უნივერსიტეტის გვერდით“, — განაცხადა ლადო პაპავამ კომიტეტის სხდომაზე.

რექტორის თქმით, მასთან შეხვედრის სურვილი გააჩნია როგორც გაზგასამართი სადგურის, ასევე სასაფლაოს წარმომადგენლებს, თუმცა პაპავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათთან ამ თემაზე არავითარ გარიგებაში შესვლას არ აპირებს.

◎ უშედეგო შეხვედრა

მეზობლური ურთიერთობა დაძაბულებელ პირობებში ვერ აეწყობა

რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთთან გასაფორმებელი „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების“ გადახედვას არ აპირებს. **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა აღნიშნა, რომ ყველაზე მწვავე საკითხი დღევანდელ მოლაპარაკებებზე სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების პროექტი იყო. კარასინის თქმით, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები განცვიფრებულები დარჩნენ იმ პოზიციით, რომელიც ჰქონდათ აფხაზეთში, ვინაიდან ეს ხელშეკრულება არანაირად არ უქმნის პრობლემებს აფხაზეთის სუვერენიტეტს.**

„ჩვენი ურთიერთობა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან პრინციპულად არ ექვემდებარება გადახედვას. მკაცრი ფორმით დასვა კითხვა ჩემმა ქართველმა კოლეგამ რუსეთ-აფხაზეთის შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით, თუმცა, ეს საკითხი ჩვენი მოლაპარაკების მანდატში არ შედიოდა. მოვუსმინე მის ლოგიკას და სათანადოდ ავუხსენი ჩემი პოზიციაც. აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ გავაფორმოთ ახალი ხელშეკრულება, — განაცხადა გრიგორი კარასინმა, რომლის თქმითაც, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი პოლიტიკოსების რეაქციამ, 2007-2008 წლები და ის რიტორიკა გაახსენა, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა და იმედი გამოთქვა, მსგავსი რიტორიკა შეიცვლებაო.

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე ამბობს, რომ ეს იყო ყველაზე მწვავე და მძიმე საუბარი, რაც კი პრაღაში შემდგარა მასსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შორის და მხარეების კარდინალურად განსხვავებული პოზიციების გამო, შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა.

„რადიკალურად განსხვავებული ხედვები და რადიკალურად განსხვავებული შეფასებები გვაქვს. ჩემი მხრიდან ავუხსენი, თუ რა რისკებთან არის ეს დაკავშირებული, რა სირთულეებს შეუქმნის ეს ჩვენს ურთიერთობებს, რაც ჩვენ წამოვიწყეთ. ჩვენი მხრიდან ეს შეფასდება, რა თქმა უნდა, როგორც აფხაზეთის ანექსიის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებით ჩვენ შევეცდებით, ჩავრთოთ საერთაშორისო თანამეგობრობა ამ პროცესში“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

პრაღაში გამართული არაოფიციალური შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. მხარეებს მომდევნო შეხვედრის გამართვის თარიღი არ დაუსახელებიათ. შესაბამისად, ამ დრომდე უცნობია გაუქმდება თუ არა აბაშიძე-კარასინის შეხვედრის ფორმატი. საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ყოველთვის არის იმის საშუალება, რომ რაღაც ფორმატი გააუქმო, ან პროტესტი გამოუცხადო.

ევროპულ და ევროატლანტიკულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ თუ რუსეთი აფხაზეთის ფორმალურ ანექსირებას არ შეაჩერებს, ორმხრივი კომუნიკაციის არხი თავის თავს წურავს და ჟენევის ფორმატი კვლავ ერთადერთ ფორუმად დარჩება.

დიპლომატები კარიბის კრიზისის ყველაზე მწვავე დღეებშიც კი განაგრძობდნენ ლაპარაკს. უბრალოდ უნდა ვიცოდეთ, რომ თუ რუსეთი არ შეაჩერებს აფხაზეთის ფორმალურ ანექსირებას, ორმხრივი კომუნიკაციის არხი თავის თავს წურავს და ჟენევის ფორმატი კვლავ დარჩება ერთადერთ ფორმატად, ამავე დროს, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი — პირველი — ყირიმის ანექსიის გაგრძელებაა აფხაზეთის ანექსია, მეორე — რუსეთი არის აგრესორი, მესამე - საქართველო არის რუსეთის მხრიდან ახალი აგრესიული ქმედებების რეალური საფრთხის წინაშე“, — აცხადებს ალექსი პეტრიაშვილი.

მისივე განცხადებით, საჭიროა ძალთა სრული მობილიზება საერთაშორისო ფრონტზე, განსაკუთრებით ორგანიზაციებში საქართველოს მხარდამჭერი გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების მიღების მიზნით.

პრაღაში გამართულ შეხვედრას სოციალური ქსელით ეხმაურება საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, რომლის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის მიმართ დღესაც არ შეცვლილა და უალტერნატივოა.

„რითი დაიმსახურა თედო ჯაფარიძემ თქვენი უზრდელი საჯარო გამოსვლა? ერთხელ, სიმბოლურად, შეხვედრის გაუქმების მოწოდება რატომ არის ასე წარმოუდგენელი და მიუღებელი? შეიძლება, დაეთანხმო ან არა, მაგრამ მაშინ უნდა ალტერნატიულ ზომებს მიუთითო რასაც მივმართავდით ასეთ პროვოკაციული ნაბიჯის საპასუხოდ. მაგრამ ესოდენ გაღიზიანებას არ იმსახურებდა გამოთქმული მოსაზრება. მეტადრე, რომ, როგორც ჩანს, ამ საკითხზე აბაშიძე-კარასინის შეუთანხმებლობა რუსეთში დიდად არავის აღელვებს. ამ დროს რუსეთი თავის გეგმებს ახორციელებს ნაბიჯ-ნაბიჯ და ჩვენ კი მეორე ლოყას ვუშვერთ. ესეც პოლიტიკაა, მაგრამ ამ პოლიტიკას სახელიც აქვს - დათმობის და შეგუების. ერთი რამეც არის — რუსეთი არასოდეს არ ცემს პატივს დაჩოქილს და უხერხემლოს. ჩვენი პოლიტიკა რუსეთის მიმართ დღესაც არ შეცვლილა და უალტერნატივოა — არც უშედეგო დათმობა! არც უაზრო დაპირისპირება! მეზობლური ურთიერთობა არათანაბარ და დამამცირებელ პირობებში ვერ აეწყობა“, — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

თამთა ქარჩავა

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **ამ დღეებში ყველა შევთანხმდით, რომ ძლადობა საშინელებაა. მოდით ახლა იმაზე დავიწყოთ ფიქრი, ამ ყველაფრის გამოსასწორებლად პრევენციის რა ზომებს მივმართოთ.**

● **საქართველოში ქალთა უფლებადამცველი ორჯერ მეტია, ვიდრე ქალთა რაოდენობა ერთად აღებული.**

● **გავიღვიძე და სანამ გულის ფანცქალით დილის კურიერს ჩავრთავ, მითხარით — ყველა ცოლი ხო ცოცხალი და საღ-სალამათია?**

● **ია ანთაძის, ზვიად ქორიძის, ლაშა ტუღუშის და სხვა „მედიაექსპერტების“ რაიმე ჟურნალისტური საქმე (პუბლიცისტიკა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, ნიუსი) თუ გინახავთ, წამაკითხეთ რაა�ა, გემუდარებით. რესპუბლიკელების გაკეთებული პირველი საგაზეთო ინტერვიუ ბიძინასთან არ ითვლება. იქ კითხვებიც და პასუხებიც ათას ფილტრში იყო გატარებული, ჟურნალისტებს ვერ მოატყუებთ.**

და როგორც იმერლები ამბობენ, „ნეტა იმის ტურა გამხადა, ეს მედიაექსპერტი რას ნიშნავს?“.

● **თამაზ ნადარეიშვილი, ალბათ, საფლავში ტრიალებს, ასეთი შვილი და სიძე რომ ჰყავს...**

შევარცხვინე ის ხელისუფლება და სასამართლო, რომელიც ამდენს აბედინებს ამ ოჯახს და კრიმინალურ ბანდას — ნაციონალურ მოძრაობას.

● **ციციკორესაც ეგონა, რომ მარიტას დასჯის უფლება ჰქონდა — ოჯახის შემარცხვენელის, მოღალატის.....ესაა სწორედ ციციკორეს მორალიც,რომ დარწმუნებული იყო სწორად აღავლენდა „სამართალს“ „მოღალატე“ და „სამარცხვინო“ მარიტას მიმართ...**

სანამ საზოგადოება საკუთარი თავიდან არ დაიწყებს კრიტიკას და სულ სხვის განსჯაში იქნება,მანამ ვიქნებით ამ დღეში...გული მწყდება,როდის გადაიქცა ეს ჩემი ლამაზი საქართველო ციციკორეების ქვეყნად.

● **ნაციონალები იმდენს იზამენ, ეს გამწარებული ხალხი თბილისის ქუჩებში და სოფლის ორღობეებში დაიწყებს მათზე ნადირობას! მერე ალბათ იმ ტელევიზიებისთვისაც მოიცლიან, ამ კრიმინალების გაპიარებით და „გაპრავებით“ რომ არიან დაკავებულები.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ კანონმდებლები

განათლების სამინისტრო და პარლამენტი ვერ შეთანხმდნენ

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან დაკავშირებით, რომელიც მასწავლებელთა სერტიფიცირების ალტერნატიულ მოდელს წარმოადგენს, განათლების და მეცნიერების სამინისტროს და პარლამენტის შესაბამის კომიტეტს შორის კონსესუსი ვერ შედგა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დისკუსიისა და დებატების შემდეგ, პარლამენტმა გასული კვირის პლენარულ სხდომაზე უწყების მიერ შემუშავებულ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა. სამინისტრომ საკომიტეტო განხილვების დროს გამოთქმული შენიშვნების ნაწილი გაითვალისწინა, თუმცა, კვლავ ძალაში რჩება და კანონპროექტში ჩაიწერა სქემა (რაც მანამდე მხოლოდ განმარტებით ბარათში იყო წარმოდგენილი), რომლის მიხედვით, მასწავლებლებს კომპეტენციისა და საქმიანობის შეფასების საფუძველზე შეიძლება მიენიჭოთ ოთხი სხვადასხვა სტატუსი — მენტორის, უფროსი მასწავლებლის, წამყვანი მასწავლებლის და პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი.

პედაგოგთა ასეთი დაყოფა საპარლამენტო კომიტეტისთვის მიუღებელია. კომიტეტი მასწავლებელთა პოზიციების საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში, შესაძლოა, ალტერნატიული საკანონმდებლო წინადადებებით გამოვიდეს. „ინტერპრესნიუსის„ ინფორმაციით, მზადდება ალტერნატიული ნორმების სამუშაო ვარიანტი, რომელიც ჯერ ოფიციალურად რეგისტრირებული არ არის და მასზე მსჯელობა არ გამართულა.

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან კომიტეტის წევრების სამუშაო შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ჩვენი პოზიცია, რომ მასწავლებელთა დაყოფა სამზე მეტ კატეგორიად ზიანის მეტს არაფერს მოიტანს. თითოეული კატეგორიისათვის წაყენებული მოთხოვნების ფორმალიზება უაღრესად რთული საქმეა და ამ მიმართულებით პროექტის ავტორების მხრიდან რამდენადმე სერიოზული შემოთავაზება ჩვენ ვერ დავინახეთ. ითქვა ისიც, რომ საჯარო სფეროში დამკვიდრებული ტრადიციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საჯარო სკოლაში დამკვიდრებულიყო მასწავლებლის სამი პოზიცია — წამყვანი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი - მსგავსად უნივერსიტეტებისა, სადაც არსებობს პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის პოზიციები. ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, ეს პოზიციები მასწავლებლებს კონკურსის წესით დაეკავებინათ. ნათქვამია შენიშვნების ფურცელში, რომელიც რედაქტირებულ კანონპროექტს ერთვის თან.

რაც შეეხება საკითხებს, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კომიტეტის შენიშვნების საფუძველზე გაითვალისწინა, გაზრდილი ვაუჩერი და დაფინანსება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გაიცემა და არა მინისტრის ინდივიდუალური აქტის საფუძველზე.

გათვალისწინებულია ისიც, რომ მასწავლებელი, რომელიც წინასწარ პატიმრობაში ან გამოძიების ქვეშ იმყოფება, თანამდებობას აღარ დატოვებს, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოდის უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ პრინციპთან. გათვალისწინებულია ისიც, რომ სამინისტროს არ ექნება მასწავლებლობის უფლების შეჩერების შესაძლებლობა. ეს ორი საკითხი პირველი მოსმენით მიღებული პროექტიდან ამოღებულია.

ნატოს საწვრთნელი ბაზა – „უსაფრთხოების ქოლგა“ საქართველოსთვის თუ „წითელი ნაჭერი“ რუსეთისთვის?



„ობიექტივის“ ერთი გადაცემის მიხედვით

ქართველი კაცი, ყველა განურჩევლად, სიამოვნებით აირჩევდა ამერიკას (დასავლეთს), და მან აირჩია კიდეც იგი დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე (ისე, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით – საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მიღებული(!) დამოუკიდებლობისთანავე), მაგრამ მას შემდეგ განვლილ, თითქმის, მეოთხედ საუკუნეში რა მივიღეთ „დამოუკიდებლებმა“ და ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ შეტრიალებულებმა ამ მდიდარი და ორმაგი სტანდარტების მქონე „დემოკრატი“ დასავლეთისგან? მივიღეთ შევარდნაძის და სააკაშვილის – „თეთრი მელას“ და „დემოკრატიის შუქურას“ 10-10-წლიანი, სახელმწიფოს გამაპარტახებელი მმართველობა. პირდაპირ თუ ვიტყვით: ვაის გავეყარეთ და ბევრად უარეს უის შევეყარეთ! ესაა მიზეზი იმისა, რომ თუკი 20, 15 და 10 წლის წინათაც საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა ამერიკას და „ნატოს“ უჭერდა მხარს, და რუსეთისკენ გახედვაც(!) არ უნდოდა, ამჟამად, დარწმუნდა რა ამერიკის „უანგარო“ მეგობრობაში, დიდმა ნაწილმა ისევ შეჩვეულ „ძველ ჭირს“ მიაპყრო იმედიანი მზერა.

უდავოა, კერპი არც პიროვნებისგან უნდა შევქმნათ (გამსახურდია იქნება ეს, შევარდნაძე, სააკაშვილი თუ ივანიშვილი) და არც – სახელმწიფოსგან (ამერიკა იქნება ეს, რუსეთი, თუ სხვა), ყოველთვის სახელმწიფოს, ხალხის ინტერესებიდან უნდა ვიმოქმედოთ და, თუკი ერთი და იგივე სიუზერენის (გნებავთ, პარტნიორის, გნებავთ, ბატონის!) ხელში უკეთესობისკენ არ მივდივართ 20-25 წლის განმავლობაში ხელისუფლების სამჯერადი ცვლის მიუხედავად, და ხალხის სოციალური მდგომარეობა, პირიქით, უარესდება კიდეც, მაშინ 25 წლისთავზე მაინც ხომ, როგორმე, უნდა მოვტვინოთ, რომ ამერიკის ხელში (სხვა არავის ხელში საქართველო არ არის!) ყოველთვის ერთსა და იმავე ყაიდის, ერთიდაიგივე მსოფლმხედველობის ხელისუფლებას მივიღებთ და, ამიტომ, არც მომავალში შეიცვლება რაიმე ძირეულად. ყოველ მომდევნო ხელისუფლებას ისე ტექნიკურად დაგვინიშნავენ მეცნიერულად დამუშავებული პიარტექნოლოგიების გამოყენებით, რომ ამერიკის შერჩეული ხელისუფლება კარგა ხანს ჩვენი არჩეული გვეგონება, გამოფხიზლებულებს კი არც ვადამდელი არჩევნების ჩატარების უფლებას მოგვცემენ და არც – პარლამენტში გამძვრალი დეპუტატების უკან გამოწვევისას. სხვა სიტყვებით, ამერიკის ხელში, არჩევნების გზით არსებით(!) ეკონომიკურ აღმავლობას ვერ მივაღწევთ (პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!). რატომ? იმიტომ, რომ **ამერიკას არ აწყობს (არსად მსოფლიოში!) ეკონომიკურად ფეხზე მყარად მდგარი და, ამიტომაც, შედარებით, ძნელად სამართავი სახელმწიფო** და, არ აწყობს, განსაკუთრებით, რუსეთის მეზობლად, მისი გაცხადებული მიზანი ხომ რუსეთის დაშლა-დასუსტება და ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდებაა.

რამაც ყველაზე მეტად განმაცვიფრა და საბოლოოდ გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა, იყო არა ლაგაზიძის განსხვავებული პოზიცია, არამედ შემდეგი: გადაცემის დასასრულ სტუდიაში დარეკა აღელვებულმა ქალბატონმა, რომელმაც, ჩემი აზრით, სავსებით მართებული პრეტენზიები დაასახელა: **„ხელისუფლებამ, 10-20 კაცმა კი არ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა სურს საქართველოს – ნატო თუ რუსეთი, არამედ ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს რეფერენდუმის გზით“;** „რუსეთის ბაზები იმიტომ გავაგდეთ, რომ ნატოს ჯარები შემოსულიყო?“; „საინტერესოა, **რუსეთმა რომ მიიყვანოს თავისი ბაზები ამერიკის საზღვრებთან, რას გააკეთებს ამერიკა?“**-ო; დაბოლოს, შეატყო რა გადაცემის სტუმრებს (ხათუნა ლაგაზიძეს და სოფო ხორგუანს) ანტირუსული განწყობა, პირადად მიმართა მათ: „ქალბატონებო, თქვენ ძალიან ბევრს ლაპარაკობთ, მაგრამ ეს ქვეყანა თქვენი არ არის...“ და აქ მას კავშირი გაუწყვიტეს.

ვიფიქრე, ამ ქალბატონს დაეთანხმებიან, რადგანაც მას მიუღებელი არაფერი უთქვამს, ბოლო მოსაზრების ჩათვლით – ვინც არ უნდა მჯდარიყო სტუდიაში, ეს ფრაზა ყველას მისამართით შეიძლებოდა თქმულიყო, ეს ქვეყანა სწორედაც რომ ყველა ჩვენგანისაა, განურჩევლად ჩვენი სიმპათიებისა თუ ანტიპათიებისა. მაგრამ ექსპერტისგან და უფლებადამცველისგან აკადემიური პასუხის ნაცვლად, ისეთი გაწიწმატებული და, რაც მთავარია, შეურაცხმყოფელი შეფასებები მოვისმინე, რომ სახტად დავრჩი.

„არც რუსეთის მონების არის ეს ქვეყანა“, იყო პირველი ფრაზა, რაც ლაგაზიძემ ამოუშვა პირიდან. მას რომ ეთქვა – არც პრორუსულად განწყობილი ადამიანების არის ეს ქვეყანაო, ცამდე მართალი იქნებოდა, მაგრამ მან ნაცების და „თავისუფალი ზონის“ ტერმინოლოგია არჩია. ამას მოაყოლა ისევ ნაცების შემოღებული იარლიყები, ორშაურად რომ აკერებდნენ ყველას – **„მეხუთე კოლონა“, „აგენტურა“.** საინტერესოა, განსხვავებული პოზიციის მქონე თავის სტუდენტებსაც ამ სიტყვებით ამკობს?! მოუზომავი სიტყვით ლაგაზიძემ ძალიან ბევრ ადამიანს მიაყენა შეურაცხყოფა.

კიდევ ერთი ორიგინალური აზრი გაგვიზიარა ლაგაზიძემ: **„ვერ იტყვი ამას** (კახელ გლეხზე, ანუ ვერ უწოდებ მას მონას, აგენტს – ი.ლ.), **როგორ მოგიბრუნდება ენა კახელ გლეხს ხელი შეუშალო ოჯახის ფეხზე დაყენებაში“** (რომელმაც, რუსეთის ბაზრის იმედით, წელში გამართვა იწყო ნელ-ნელა). ერთი შეხედვით, თითქოს, სავსებით სწორ შეფასებას იძლევა ექსპერტი, მაგრამ სინამდვილეში რა გამოდის – ყველა კახელი გლეხი ან აჭარელი მეციტრუსე ხომ არ იქნება, და, თუ სხვამ, ნებისმიერმა მოქალაქემ თავისი პრორუსულობა გამოამჟღავნა, იგი აგენტის და მონის იარლიყს იმსახურებს?! სირცხვილი არ არის საკუთარი ხალხის ასეთნაირად დაყოფა!

როგორ დავიჯერო, რომ არც ექსპერტს და არც უფლებადამცველს არ ესმის, თუ რას ნიშნავს „მონა“. ორივენი, ნაცების და ქოცების ნაწილის მსგავსად, თვლიან, რომ 1991 წლამდე რუსეთის მონები ვიყავით, ახლა კი დამოუკიდებლები ვართ. როგორი დამოუკიდებლებიც ვართ დღეს, ყველამ კარგად ვიცით, რაც შეეხება მონობას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად 70 წლის განმავლობაში, 1921-1991 წლებში (მეფის რუსეთის პერიოდს თავი რომ დავანებოთ) **ჩვენ რუსეთის მონები არ ვყოფილვართ,** და ეს სულ ადვილად მტკიცდება – **ისტორიას არ ახსოვს მონა ხალხი უფრო განათლებული და უფრო მდიდარი ყოფილიყოს, ვიდრე მონათმფლობელი.** ჩვენ ვიყავით არა რუსეთის, არამედ საბჭოთა, კომუნისტური დიქტატის ქვეშ, და ამ დიქტატის ქვეშ იყო საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერი, რუსების ჩათვლით! **სწორედ თანასწორუფლებიანობის, და არა მონობის(!), პირობებში მივაღწიეთ წარმატებებს ხელოვნებაში, განათლებაში და სხვა სფეროებში ჩვენი ნიჭით, შრომისმოყვარეობით და მდიდარი რუსეთის(!) დახმარებით** –ფაბრიკა-ქარხნების და ჰიდროელექტროსადგურების შენება იქნებოდა ეს, თუ სხვა დიდი პროექტები. **რუსეთი ცეკას მეორე მდივანს გვინიშნავდა მხოლოდ, ამერიკა კი – ლამის მთელ პარლამენტს და მთავრობას გვინიშნავს** (და კიდევ ვის არა!), და მაინც **რუსეთთან ყოფნა იყო მონობა და ამერიკასთან „პარტნიორობა“ კი დამოუკიდებლობაა და თავისუფლება?!**

ამ ყველაფრის გარდა, ერთი დიდი უზუსტობაც თქვა ლაგაზიძემ: **„ჩემმა თაობამ ასი ათასი (მაშინვე გაასწორა – ი.ლ.), ათი ათასობით სიცოცხლე შესწირა, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი“.** როდის შესწირა ლაგაზიძის თაობამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ათი ათასობით(!) სიცოცხლე, ჩემთვის სრულიად გაუგებარია. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულებს მხოლოდ 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულ 21 ქალ-ვაჟს თუ მივაკუთვნებთ. რაც შეეხება აფხაზეთში და სამაჩაბლოში წარმოებულ ომებს, და თბილისსა თუ სამეგრელოში გაჩაღებულ სამოქალაქო ომს, არც ერთი მათგანი არ იყო დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ომი, ყველა წამოწყებული იყო დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ წლებში – შევარდნაძის და სააკაშვილის მიერ საკუთარი და სხვისი სურვილების დასაკმაყოფილებლად!

გადაცემის მეორე სტუმარზე, სოფო ხორგუანზე საერთოდ არ ვაპირებდი საუბარს, მაგრამ გადაცემის მიწურულს ამ „უფლებადამცველმაც“ ისეთი „მარგალიტები“ გადმოაფრქვია, რომ კბილის გაკვრა მანაც დაიმსახურა. ისე, **აფსუსი არაა, ხორგუანსაც უფლებადამცველი ერქვას და დიმიტრი ლორთქიფანიძესაც!** ეს უფლებადამცველი იმასაც ვერ ხვდება, რომ მარტო იეღოველების და პედერასტების დაცვა არ არის უფლებადამცველობა, რომ განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანების აზრის გამოხატვის უფლებაც დასაცავია და არა – შეურაცხყოფამისაყენებელი. იგი იმასაც ვერ ხვდება, რომ მან (ლაგაზიძესთან ერთად) არა მარტო ეთერში ჩართულ ქალბატონს მიაყენა შეურაცხყოფა, არამედ მეზობელი თუ შორეული სახელმწიფოების ხალხებსაც. რუსეთთან მჭიდრო, კეთილმეზობლური ურთიერთობისკენ ადამიანების ლტოლვას, როგორც დუხჭირი ცხოვრებიდან რეალურად თავის დაღწევის გზას (საქართველოს გამთლიანების პერსპექტივასაც, მომავალში), იგი **„მონობაში დაბრუნებად“, „სიბნელედ“ და „დაღუპვად“** აფასებს. გამოდის, ჩვენი მეზობელი სომხეთის, რუსეთის მეზობელი ბელარუსის, ყაზახეთის და სხვების მოსახლეობა, ყველანი ისევ მონობაში და სიბნელეში ცხოვრობენ, და მხოლოდ ჩვენ გვაქვს გალაღებულ-განათლებული და დამოუკიდებელი ცხოვრება, ხომ?! განსხვავებული აზრი, სულაც საპირისპირო, ცხადია, უფლებადამცველსაც შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მას არა აქვს უფლება ასეთი ეპითეტებით შეამკოს ვინმე. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთ უფლებადამცველს მეორე დღესვე ჩამოართმევდნენ დამცველის საპატიო სტატუსს, მაგრამ ჩვენთან, ამგვარ შეურაცხყოფას კი არა, რუსეთის პრეზიდენტს დედას აგინებს ვიღაც მწერლად წოდებული, ამორალური სულის მატარებელი ლაწირაკი პირდაპირ ეთერში და, ამაზე ტაშსაც უკრავს ინგა გრიგოლიას მიერ „მიუკერძოებლად“ შერჩეული აუდიტორია! სამწუხაროდ, ძალიან მოკლე დროში შეგვაჩვიეს უმსგავსოების ყურებას და სმენას, **პარლამენტში კი ვერავინ ბედავს ისეთი კანონის ინიცირებას (პუტინის რუსეთში კარგა ხნის წინ მიღებულის!), რომელიც აკრძალავდა ლანძღვა-გინებას და უწმაწური სიტყვების ხმარებას პრესაში, ტელევიზიაში, თეატრსა და კინოში.**

უფლებადამცველს ჯერ ზოგადი განათლება და კულტურა მოეთხოვება, შემდეგ კი სპეციალური ცოდნა თავის სფეროში და, როდესაც არც ერთი აქვს საკმარისად, არც მეორე და მესამე, მაშინ არის ხოლმე, როგორც ჩვენ შემთხვევაში, რომ ვერც თავის საქმეს ასრულებს კეთილსინდისიერად და, აქაოდა ლაპარაკი მეხერხებაო, ყველაფერზე, მათ შორის, ჩინურ ბაზარზეც გამოთქვამს თავის „კომპეტენტურ“ აზრს.

„ევროპაში ცხოვრება კარგია“, აცხადებს ხორგუანი. რა თქმა უნდა, ოღონდ ჩვენთვის და ჩვენისთანებისთვის, ამერიკა-ევროპის მიერ შემუშავებული ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება, კაპიკად არ ვარგა! ეგებ, არც არაფერი სმენია ხორგუანს ორმაგი და სამმაგი სტანდარტების შესახებ?!

ახლა, მთლად ბაჯაღლო ოქრო: **„ევროპა არ წაგართმევს შენს იდენტობას, შენს რელიგიას, შენს ტრადიციას“.** მოდი და ნუ გაგეცინება ამ სიბრიყვეზე, ამერიკა და ევროპა თუ არ გვართმევს ყველაფერ ამას, მაშინ აბა, ვინ, ერთმორწმუნე რუსეთი გვართმევს?! რუსეთმა ამოიღო ხმარებიდან „დედ-მამა“, „ცოლი“, „ქმარი“, „სამშობლო“ და „პატრიოტიზმი“?! ამასთან დაკავშირებით, ერთ, შედარებით ახალ და ცოტა უცნაურ ევროპულ მითითებაბრძანებას შევეხები – ევროკავშირმა ერთ წლამდე გოჭების დაკვლა აგვიკრძალა! ჯერ-ჯერობით, უცნობია, თუ რატომ მარტო გოჭების. არც იმას გვეუბნებიან რა დააშავეს ბატკანმა, ხბომ, ციკანმა და წიწილამ, განა ისინი ცოდონი არ არიან? არ არის ეს დისკრიმინაცია? ეს რომ გაეგოთ ორუელის „ცხოველთა ფერმაში“, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა იქ! საახალწლო შემწვარი გოჭიც ხომ ჩვენი ტრადიციის ნაწილია, ე.ი. გვართმევს თუ არ გვართმევს ევროპა ტრადიციებს? ცხადია, გვართმევს! აი, ებრაელებს კი, მართლაც მიუღებელ ტრადიციას – საქონლის და ფრინველის წამებით დაკვლის, წვეთწვეთობით სისხლისგან დაცლის არაადამიანურ ტრადიციას, არ უკრძალავს! მიდი და ედავე!

დასკვნის სახით ვიტყვი: **ჩვენი უბედურება ისაა, რომ მთლიანად(!) ამერიკაზე ვართ ჩამოკიდებული და ამიტომ მის ნებისმიერ(!) დავალებას, თუნდაც, საქართველოსთვის წამგებიანს და სახიფათოს, უსიტყვოდ ვასრულებთ.** სამწუხაროდ, ასეა, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკაზე ერთბაშად უარი ვთქვათ, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. თუ რატომ, ამის დეტალურად ახსნა, ვფიქრობ, ზედმეტია. უდავოა შემდეგი: ნებისმიერ, განსაკუთრებით, კი ჩვენისთანა პატარა და სუსტ სახელმწიფოს მაშინ უადვილდება საკუთარი ინტერესების დაცვა, თუ მას არჩევანი, ალტერნატივა აქვს, და ორი დიდი სახელმწიფოდან შეუძლია ხან ერთი აირჩიოს (მიეხროს და გამოიყენოს!) და ხანაც – მეორე. როცა გამოსავალი არ არის და ვიღაცამ აუცილებლად უნდა „გიპატრონოს“, ასეთ დროს ორი ბატონის მსახურობა სჯობია ერთისას, და შემდეგ დრო გვაჩვენებს, რომელი „მფარველისკენ“ უფრო მეტად გადახრა აჯობებს, რომელ საკითხში ვის მხარეს დავდგეთ და ა.შ. ცხადია, ეს უნდა გავაკეთოთ არა რომელიმე მათგანის (ამერიკის ან რუსეთის) ჯიბრზე, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ამის მიღწევას კი მხოლოდ მაშინ შეძლებს საქართველოს ხელისუფლება (ჭეშმარიტად ჩვენი არჩეულიც კი!), თუკი მას ორი დიდი სახელმწიფოს – რუსეთ-ამერიკის პოზიციებს შორის არჩევანის საშუალება ექნება და, როცა აშკარა ზეწოლას მასზე ორივე მოერიდება – ერთსაც და მეორესაც ეცოდინება, რომ მხოლოდ უხეში ზეწოლა, რაიმე საინტერესო შეთავაზების გარეშე, აუცილებლად გამოიწვევს გადახრას საპირისპირო, ანუ კონკურენტის მხარეს. სწორედ ეს მოგვცემს ჩვენ ხეირს, ჩვენ ჭკუაზე განვითარების საშუალებას (ყველაფერი ხომ შედარებითია!), არც ინვესტიციების მოზიდვაში გვექნება პრობლემა და არც გასაღების ბაზრებში, ერთმანეთს დაასწრებენ ჩვენი გულის მოგებას ამერიკა და რუსეთი (ესეც შედარებითია, რა თქმა უნდა).

ვფიქრობ, და ასე მწამს, რომ ჩვენი ისტორიის ამ ეტაპზე(!) მხოლოდ ამ ფორმულით – ორ ბატონთან დიპლომატიური მსახურობით (გნებავთ, ურთიერთობით, სიტყვებს არა აქვს მნიშვნელობა, არსია მთავარი!), **ანუ დაბალანსებული(!) პოლიტიკით თუ გავართმევთ პრობლემებს თავს.**

იაკობ ლეჟავა,
15 ოქტომბერი, 2014.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 214

აწყვეტილი რუსეთი, გაწყვეტილი უკრაინა და გასაწყვეტი საქართველო?..

განათლება, ცოდნასთან ერთად, რაღაცა ღვთიურთან თანაზიარობას, სამშობლოს ტკივილიან განცდასაც ნიშნავს, რისგანაც ისე შორს არის „ჩვენი“ რესპუბლიკელების ნეოლიბერალური იდეოლოგია, როგორც და დედამიწა.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს უცოდინრობას ვერ დასწამებ, მათ მხოლოდ ე.წ. ნაკითხებს და უფრო მეტიც – ნაკითხ უვიცებს ვუწოდებ!

ჰოდა, ერთმა რესპუბლიკელების „უვიცმა ნაკითხმა“ ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა, ჯერ კიდევ ჯეელობისას განაცხადა, ილია ჭავჭავაძეს, ასეთ მწერალს არ ვიცნობო!

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ვიზუალურად იქნებ ცნობაც გაგიჭირდეს კგბ-ს საკანში „ცოდვამონანიებული დისიდენტისა“, მაგრამ საკმარისია პირი გააღოს და მიუხედავად წონაში დაკლებისა, დარწმუნდები, რომ „ისევ ის ბიჭია“, ანუ, ისევ ყოველივე ქართულის შეურაცხმყოფელი სიტყვები ამოსდის პირიდან.

აგერ სულ ახლახან, „ინტელექტუალმა, სტალინი, ვაჟა-ფშაველას ნაბიჭვარიაო...

ეს ისე, რომ იტყვიან ცნობისა და შეხსენებისთვის, თუ რანი არიან სინამდვილეში „ინტელექტუალი“ რესპუბლიკელები...

თუმცა, ლევან ბერძენიშვილის ხსენება კიდევ ერთხელ და საბოლოოდ მაინც მომიწევს, რადგან მისმა განცხადებამ „შობა“ წინამდებარე წერილის სათაურიც და შინაარსიც: რუსეთმა აიწყვიტაო, განაცხადა ნაკითხმა მას შემდეგ, რაც კრემლის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ პროექტი გახდა ცნობილი და იქვე, რუსეთი მთელს მსოფლიოს ებრძვისო, „ამერიკა აღმოაჩინა“ ამერიკის ნაკითხმა აპოლოგეტმა...

„ხომ გეუბნებოდი, გაფრინდებიან-მეთქი, შე გალსტუკიანო“?

„შერეკილი“ ხუტა ოდიშელიძის ეს ფრაზა ამეკვიატა ნაკითხი ლევანის განცხადების შემდეგ, ანუ ახლა აიწყვიტა რუსეთმა თუ მაშინ, როდესაც ყირიმს კლასიკური „ანშლუზი“ უყო, რითიც, დიახაც მთელს მსოფლიოს ომი გამოუცხადა (თუ პირიქით?) და შინაური თუ გარეშე ლიბერასტების გულის გასახეთქად „ყურებზე ხახვი ვერავინ დააჭრა“...

ცოტას ვწერდით და ვაფრთხილებდით, ვისაც ეს ეხება, რომ უკრაინის შემდეგ რუსეთი სამხრეთ კავკასიისთვისაც, ანუ საქართველოსთვისაც მოიცლის, რომ ნატოს იმედად რუსეთთან ხუმრობა სახიფათოა და ისე არ მოგვივიდეს, კამეჩთან მარქენალებს, რქები არ შეგვრჩეს?!

ჰოდა, აკი „ისე გამოვიდა“ კიდეც – უკრაინის საკითხი პრინციპში გადაწყვეტილია – 50-მილიონიანი ქვეყნის საბოლოოდ დაშლა, გნებავთ, წელში გაწყვეტა მხოლოდ დროის ამბავია. ზამთარი კარს მიადგა უკრაინას და გაყინულ-მშიერი უკრაინელები, სავარაუდოდ, თავად მოიშორებენ პოროშჩენკოს რეჟიმს...

ჰოდა, რუსეთი დროს არ კარგავს და ქართველების ჭკუის სასწავლებლად, უფრო კი მგონია, გამოსაფხიზლებლად, დე ფაქტო ანექსირებული აფხაზეთის დე იურე ანექსირების, ანუ საქართველოს „გაწყვეტის“ პროცესი დაიწყო და თუ ეს ოფიციალურად გაფორმდება, არა მხოლოდ აფხაზეთ-ცხინვალს დავემშვიდობებით სამუდამოდ, არამედ იქნებ სხვა, პოტენციურად ფეთქებადი ტერიტორიებიც დავკარგოთ!

აქედან, იმასაც შეგახსენებთ, რომ ე.წ. ევრაზიული კავშირი უკვე შემდგარი ფაქტია, რომელშიც ჩვენი მეზობელი სომხეთიც გაწევრიანდა და მათ ამ კავშირის დომინანტ რუსეთთან პირდაპირი საზღვარი, ანუ სახმელეთო კომუნიკაცია არ აქვს, რაც არა მგონია, დიდხანს გაგრძელდეს...

ეს ისე, როგორც იტყვიან, გამგებმა გაიგოს, თუ რა იგულისხმება უკანასკნელ მრავალწერტილში!

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? იმის მაგივრად, რომ სასწრაფოდ გადაიხედოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, ნატოს ფუჭ იმედად უილაჯო ბაქიბუქს არ ვეშვებით, რაზეც ირაკლი ალასანიას ადრეული კონფრონტაციული განცხადებებიც ღაღადებენ და სულ ახლახან, როიტერისთვის მიცემულ ინტერვიუში – „ქედს არ მოვიხრით რუსეთის“ წინაშეო“ და ღმერთო, შენ გვიშველე, კიდევ უფრო სახიფათოც – „უარესისთვის ვემზადებითო“. როგორც მოვემზადეთ უარესისთვის, 2008 წლის აგვისტოში გამოჩნდა...

კიდევ ერთი ფუჭი იმედი რუსეთის ისტორიული მტრებისა (მთელი დასავლეთი), რომ რუსეთი, ამჯერად მაინც დიდი-დიდი, 2-3 წელიწადში თავისით დაიშლება.

მსგავსი იმედებით დასავლეთ ევროპა და ახლა პლუს აშშ, ლამის 4 საუკუნეა სულდგმულობს.

ე.წ. „ბოლშაია სმუტა“, ანუ დიდი არეულობები იყო დასავლეთის მონარქიებისა და შემდეგ დასავლური „დემოკრატიების“ საფუძველი ამ იმედებისა, მაგრამ ამაოდ. როგორც ისტორია გვამცნობს, რუსეთის იმპერია, ზოგადად იმპერიების წარმოქმნა-დაშლის კანონებს არ ემორჩილება და ამიტომ, როდესაც მართლაც დაბეჩავებული, მართლმადიდებლური მონარქია თითქოს და სულს ღაფავდა, სწორედ ამ დროს ძლიერი მმართველი ევლინებოდა და ფენიქსისებრ აღდგებოდა ხოლმე!

პირველმა დიდმა „სმუტამ“ ივანე მრისხანის შემდგომ რუსეთში დაისადგურა, როდესაც XVII საუკუნის მეორე მეოთხედიდან მოყოლოებული ლამის საუკუნის ბოლომდე, ვისაც არ ეზარებოდა, პირველ რიგში შვედეთის სამეფო და მასთან ალიანსში მყოფი ბალტიის ქვეყნები ძარცვავდნენ და არბევდნენ შინააშლილობებით, სასახლის გადატრიალებებით მოცულ რუსეთს, რასაც მისი ტერიტორიების შემცირებაც მოჰყვა და როდესაც ბევრს ეგონა (დღევანდელივით), რომ...

სწორედ ამ დროს აიწყვიტა რუსეთმა, მოუვლინა რა განგებამ მხსნელად პეტრე I, რომელმაც არა მხოლოდ სარკმელი გაჭრა ევროპაში, არამედ სარკმელს იქით შვედეთის სამეფოსგან დაიბრუნა წართმეული და საფუძველი ჩაუყარა იმ იმპერიას, რომელიც დღესაც არსებობს. სწორედ პეტრე დიდი იწოდა პირველად იმპერატორად.

XVIII საუკუნის მიწურულს კი ეკატერინე დიდის იმპერატორობისას, რუსეთის იმპერიამ ისეთ ტერიტორიულ სიდიდეს და სამხედრო-ეკონომიკურ სიძლიერეს მიაღწია, რომ „განათლებული ევროპის“ შეშფოთება გამოიწვია და რადგან რუსეთში არავითარი „სმუტა“ არ ჩანდა, ბრიტანეთის პოლიტიკური ინტრიგების შედეგად, ნაპოლეონის უძლეველი არმია მიუსიეს უძლიერეს მართლმადიდებლურ მონარქიას!

აქედან კი ის გამოვიდა, რომ რუსეთმა კიდევ ერთხელ აიწყვიტა და ნაპოლეონის არმია ლამის სრულად გაიწყვიტა, ხოლო ალექსანდრე პირველმა ნაპოლეონ ბონაპარტეს პარიზში დაუმთავრა პოლონეთიდან დაწყებული ომი და მოგვიანებით რუსეთის იმპერიამ პოლონეთიც და ბალტიის ქვეყნებიც საკუთარ საზღვრებში მოაქცია, როგორც ბუფერი რუსეთის იმპერიასა და დასავლეთ ევროპას შორის, რითიც უვნებელყო ის პერმანენტული საფრთხე, რომელიც დასავლეთიდან სწორედ ამ ტერიტორიების გავლით ემუქრებოდა.

ამის შემდგომი მთელი XIX და XX საუკუნის დასაწყისი, რუსეთის იმპერიის სამხედრო-ეკონომიკური სიძლიერის და კულტურული რენესანსის პერიოდი იყო. ამ დროს რუსეთის არმიამ სტამბოლსაც უწია და რომ არა ისევ და ისევ ინგლისი, დღეს სტამბოლი კონსტანტინეპოლი იქნებოდა!

ამავე დროს შეიქმნა დიდი რუსული ლიტერატურა, ზოგადად კულტურა, რომლის გარეშეც შეუძლებელია მსოფლიო კულტურაზე საუბარი.

და, I მსოფლიო ომი, რომლის წინაც რუსეთის ეკონომიკა სიძლიერით მსოფლიოში მეოთხე და ზოგ სეგმენტებში, მაგალითად ხორბლის, თუჯის წარმოებით, პირველიც იყო.

ამ ომს ზოგადად, გარდა გეოპოლიტიკურისა, ერთი კონკრეტული მიზანიც – რუსეთის მართლმადიდებლური მონარქიის დამხობა ჰქონდა, რისთვისაც ჩაითრიეს კიდეც გულუბრყვილო ნიკოლოზ II ამ ომში, სადაც პირველ ხანებში თითქოს ყველაფერი მასონთა გეგმის თანახმად მიდიოდა, მაგრამ ფრონტზე პირველ წარუმატებლობებს, ე.წ. „ბრუსილოვის გარღვევა“ მოჰყვა, რის შემდეგაც რუსეთის არმიის გამარჯვების პერსპექტივა შეუქცევადი გახდა და სწორედ აქ მოუწყვეს რუსეთს მეორე დიდი „სმუტა“ – ჯერ 1917 წლის თებერვლის რევოლოციის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალების სახით, რომელთა შედეგად რომანოვების სამეფო დინასტიაც დაემხო და რუსეთის იმპერიაც დაიშალა!

ჰოდა, როდესაც ტროცკისტი მასონების ხელისუფლების ხელშეწყობით, რუსეთს ეს მერამდენედ შეესივნენ საძარცვ-საჯიჯგნად და თითქოს რუსეთის იმპერიული კი არა, რუსეთის პატარა სახელმწიფროებაც უნდა გამქრალიყო მსოფლიო რუკიდან, სწორედ ამ დროს რუსეთს მხსნელად სტალინი მოევლინა და რუსეთმა კვლავ აიწყვიტა – სტალინმა, მართლაც ფოლადის სიმტკიცით გაანადგურა მასონი ტროცკისტები და რუსეთის, ამჯერად კომუნისტური იმპერიის, სსრკ-ის შენება დაიწყო.

ამ დროს, ისევ და ისევ რუსეთის მარადიული საფრთხის – პოლონეთის ტერიტორიიდან დაიწყო II მსოფლიო ომი, რომელიც ისევ დიდი ბრიტანეთის, ამჯერად აშშ-სთან ტანდემში მეცადინეობით, სულ მალე დიდ სამამულო ომად ექცა საბჭოთა კავშირს, მაგრამ ვაშინგტონ-ლონდონის ოცნებას, რომ გერმანია და რუსეთი ერთმანეთს დაჭამდნენ და ორივეს თავად მოუგრეხდნენ კისერს, ახდენა არ ეწერა – გენიალურმა სტალინმა ჰიტლერს ბერლინში დაუმთავრა ომი და საბჭოთა იმპერიის საზღვრებმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

სტალინის შემდეგაც დიდი ხნის მანძილზე შიშის ზარს სცემდა დასავლეთის „დემოკრატიას“ ბირთვული საბჭოთა იმპერია, რომელიც დასავლეთის გავლენის აგენტების: მიხეილ გორბაჩოვის, იაკოვლევის, შევარდნაძის მეცადინეობით, გასული საუკუნის მიწურულს დაიშალა, ხოლო რუსეთის ტერიტორიაზე მორიგი „სმუტა“ დამყარდა, რითიც ეს მერამდენედ ისარგებლეს და 90-იანი წლებიდან მოყოლებული უმოწყალოდ ძარცვეს, არბიეს, მაგრამ განგებამ ალკოჰოლიკ ელცინს ერთადერთი სწორი ნაბიჯი შთააგონა და დაშლის პირას მდგომი რუსეთი ვაჟკაც ვლადიმერ პუტინს ჩააბარა. ჰოდა, აი მაშინ აიწყვიტა რუსეთმა და არა დღეს, უკრაინის, ან საქართველოსთან მიმართებით!

მაშინ აწყვეტილი რუსეთი დღეს იმდენად მოღონიერდა, რომ ყალყზეა შემდგარი და არც კავკასიაში დათმობს რაიმეს, სადაც 200 წელიწადია, სისხლს ღვრის და მით უმეტეს არც უკრაინაში, რომელსაც „მალოროსიას“ უწოდებენ უკვე და ამ დასახელების სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი სულ მალე რუკებზედაც გაჩნდება!

იმას, რაც უკრაინაში ხდება, მრავალი წახნაგი აქვს და მათ შორის, უმთავრესს, ცივილიზაციათა ღირებულებათა ომი ჰქვია.

ერთ მხარეს დასავლეთია, რომელსაც სოდომის ცოდვა ცხოვრების წესად, დემოკრატიის უმაღლეს ფორმად მიუჩნევია, მეორე მხარეს კი მართლმადიდებელი რუსეთის იმპერია.

ანუ საბოლოო ჯამში კიევში დასავლეთის მიერ მართლმადიდებლობასთან გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს და უფალი არ დაუშვებს ამ ომში რუსეთის დამარცხებას, რადგან, როგორც რომანოვების დინასტიის გაქრობასთან ერთად, ერთმანეთის მიყოლებით გაქრნენ: სერბეთის, ბულგარეთის თუ რუმინეთის მართლმადიდებლური მონარქიები და ასეთი ბუნებაში უკვე აღარ არსებობს, რუსეთის მარცხის შემთხვევაში მართლმადიდებელი სარწმუნოებაც ნელ-ნელა ჯერ დასუსტდება და შემდეგ ისევე გაქრება, როგორც მონარქიები.

ამას კი განგების ძალა არ დაუშვებს, ძალა, რომელსაც რუსეთის ბირთვული პოტენციალი ჰქვია!

დავით მხეიძე

◎ ალიანჩალიანი

სააპელაციო სასამართლომ მერაბიშვილისთვის შეფარდებული პატიმრობა ძალაში დატოვა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილისთვის შეფარდებული 5-წლიანი პატიმრობა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე ძალაში დარჩა ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის დაკისრებული 50-ათასიანი ჯარიმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ვანო მერაბიაშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის სააპელაციო საჩივარზე გადაწყვეტილება გუშინ გამოაცხადა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის საქმეს განიხილავდა, რომელიც კვარიათის აგარაკის საკითხსა და დასაქმების პროგრამაში აღმოჩენილ დარღვევებს უკავშირდება.

ინტერპრესი

დიდი ქართველი მეცნიერი-ორიენტალისტი

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი - 110



შესრულდა 110 წელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – ქართველოლოგისა და ორიენტალისტის – აკადემიკოს გიორგი წერეთლის დაბადებიდან.

გიორგი წერეთელი იმ დიდ ქართველთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც ქართული კულტურა და მეცნიერება მსოფლიო ასპარეზზე გაიტანეს. იგი საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერი იყო, დაფასება და აღიარება მას თავის ქვეყანაშიც (და მთელ მაშინდელ საბჭოთა კავშირში) არ აკლდა (თუმცა, საერთოდ, ცხოვრების რთული და ძნელი გზა განვლო, 30-იანი წლების რეპრესიები მასაც შეეხო): საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი, პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრი; საქართველოს უმაღლესი საბჭოს სამგზის დეპუტატი...

ფასდაუდებელია გიორგი წერეთლის ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის წინაშე. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ მან დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1945 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (1960 წ.), მისი ინიციატივით შეიქმნა და მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია.

გიორგი წერეთელი იყო მსოფლიოში აღიარებული ქართული ორიენტალისტური სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი და ლიდერი, ხოლო, საერთოდ, მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო საოცრად მრავალფეროვანია: ერთი მხრივ – ქართველოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა (სემიტოლოგია, არაბისტიკა, ირანისტიკა), ინდოევროპეისტიკა, ძველი აღმოსავლეთის ენები, მეორე მხრივ – ზოგადი ლინგვისტიკა, დიალექტოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა და სხვ.

გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანის დასაწყისში გ. წერეთელმა, თავისი საქვეყნოდ ცნობილი ნაშრომებით არამეისტიკასა და ებრაისტიკაში, საფუძველი ჩაუყარა ქართულ სემიტოლოგიას – ამ დარგში მას ეკუთვნის დიდი რეზონანსის მქონე გამოკვლევები, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი „არმაზის ბილინგვა“.

უფრო ადრე გიორგი წერეთელმა გაშიფრა საქართველოში დაცული ურარტული წარწერები და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ურარტოლოგიას (საერთოდ – სოლისებრი დამწერლობის შესწავლას).

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისშივე გ. წერეთლის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო არაბისტიკა – იგი ქართული არაბისტიკული სკოლის შემქმნელია. გიორგი წერეთლის არაბისტიკული ნაშრომების დიაპაზონი მეტად ფართოა, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შუაზიის არაბული დიალექტების აღმოჩენა და შესწავლა – XX საუკუნის მსოფლიო არაბისტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა („გადატრიალება მსოფლიო მეცნიერებაში“ – ასეთი კვალიფიკაცია მისცა ამ ფაქტს დიდმა რუსმა ორიენტალისტმა, აკად. ი. კრაჩკოვსკიმ).

ამავე დროს, მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა აღმოსავლეთმცოდნეობის სხვა დარგების, კერძოდ ირანისტიკის, განვითარებაში, – აქ მას რამდენიმე, საყოველთაოდ აღიარებული, ნაშრომი ეკუთვნის.

გიორგი წერეთელი გამოჩენილი ლინგვისტი იყო. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია მისი თეორიული ხასიათის გამოკვლევა, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა XX საუკუნის მეცნიერების ისტორიაში, როგორც ორიგინალურმა თეორიამ ზოგად ენათმეცნიერებაში; ალოგენეტური თეორია – ასეთი სახელით დამკვიდრდა იგი.

თუმცა, გიორგი წერეთლის სახელი, პირველ ყოვლისა, აღმოსავლეთმცოდნეობასთან ასოცირდება, მაგრამ იგი იყო აგრეთვე ბრწყინვალე ქართველოლოგი, მას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ქართველი აღმოსავლეთმცოდნის მთავარი ამოცანაა ქართველოლოგიის (ქართული ენა, კულტურა, ისტორია და ა.შ.) სამსახური. შემთხვევითი არაა, რომ მისი სამეცნიერო პროდუქციის დიდი ნაწილი ქართველოლოგიურია – ან მთლიანად, ან ნაწილობრივ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი მონოგრაფია „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, რომელიც ქართველოლოგიურ, სემიტოლოგიურ და ირანისტიკულ ანალიზს შეიცავს. გ. წერეთლის დასკვნით, ეს წარწერები წარმოადგენენ აქამდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერებს, ისინი სულ ცოტა ნახევარი საუკუნით უსწრებენ ბოლნისის წარწერებს.

სიცოცხლის ბოლო წლებში გიორგი წერეთლის გამორჩეული ყურადღების საგანი იყო „ვეფხისტყაოსანი“. მას მეცნიერმა რამდენიმე ცნობილი ნაშრომი მიუძღვნა, რომლებშიც, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხებია გაშუქებული. მაგრამ განსაკუთრებული ადგილი მის რუსთველოლოგიურ გამოკვლევებს შორის უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ ვერხიფიკაციისადმი მიძღვნილ ვრცელ ნაშრომს, რომელიც საეტაპო მნიშვნელობისაა არა მარტო ქართული და ქართველური ლექსმცოდნეობისათვის, არამედ ინდოევროპული შედარებითი მეტრიკისთვისაც, საერთოდ, შედარებითი პოეტიკისა და მეტრიკისათვის.

„ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ნაშრომი მეცნიერის უკანასკნელი პუბლიკაცია იყო. 1973 წ. იგი გარდაიცვალა 69 წლის ასაკში. გიორგი წერეთელს ბევრი სამეცნიერო იდეა და პროექტი დარჩა განუხორციელებელი (ზოგიერთი ნაშრომი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, ზოგის დასრულება მას არ დასცალდა, მათ შორის – არაბული ენის გრამატიკისა და „ლაილაშის ბიბლიის“ გამოცემისა). მაგრამ ის სამეცნიერო მემკვიდრეობა, რაც დატოვა, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ მისი დამსახურება ქართული და მსოფლიო მეცნიერების წინაშე ფასდაუდებელია. შემთხვევითი არაა, რომ პრაქტიკულად ყოველ მის ფუნდამენტურ ნაშრომს თავის დროზე საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, ხოლო მის ნააზრევს ახლაც ეყრდნობიან.

დღესაც ახალი თაობის მეცნიერთათვის სამაგალითოა გიორგი წერეთლის მეცნიერული აზროვნების გასაოცარი ამპლიტუდა, თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიებისა და მეტაენის ღრმა ფლობა, ფილოლოგიური, ლინგვისტური, ტექსტოლოგიური ანალიზის შესანიშნავი უნარი, განზოგადებულ დებულებათა ჩამოყალიბების იშვიათი ოსტატობა.

გიორგი წერეთლის მიერ გაკვალულ გზას დღეს აგრძელებენ მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები – ქართველოლოგები და ორიენტალისტები, რომელთათვისაც მათი დიდი წინამორბედის სახელი განსაკუთრებული პატივისცემის ობიექტია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარუშლელი კვალი ეროვნულ და მსოფლიო მეცნიერებაში...

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ფართოდ ცნობილ არაბისტსა და სემიტოლოგს, აკადემიკოს გიორგი წერეთელს 2014 წლის 21 ოქტომბერს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა. მეცნიერი-ფილოლოგისათვის არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (იგი გარდაიცვალა ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1973 წლის 9 სექტემბერს) გიორგი წერეთელმა უდიდესი სამეცნიერო შედეგები მოიპოვა და სახელი გაითქვა საერთაშორისო მეცნიერებაში, როგორც უმაღლესი რანგის მკვლევარმა-აღმოსავლეთმცოდნემ, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაშრომები შესძინა ფილოლოგიურ მეცნიერებასა და აღმოსავლეთმცოდნეობას და მით დაიმკვიდრა დიდი მეცნიერის სახელი მსოფლიო მეცნიერებაში.

განუზომლად ფართო იყო აკადემიკოს გიორგი წერეთლის სამეცნიერო ინტერესების სფერო. იგი მოიცავს არაბულ ენათმეცნიერებასა და ფოლკლორს, ებრაისტიკასა და არამეისტიკას, ახლო აღმოსავლეთის ძველ ენებსა და დამწერლობათა ისტორიას, ქართველურ ენათმეცნიერებას, ქართული და შედარებითი ლექსთწყობის საკითხებს, თეორიული ლინგვისტიკის პრობლემებს... თითოეულ ამ დარგში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და მისმა შრომებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერების საგანძურში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკად. გიორგი წერეთლის თითქმის ყოველი გამოქვეყნებული ნაშრომი არის ახალი სიტყვა ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგში.

გიორგი წერეთელი არ განეკუთვნება იმ მკვლევართა რიცხვს, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გარკვეული სამეცნიერო დარგის ერთი განსაზღვრული მიმართულებით მუშაობენ.

გარკვეულ უბანზე გაკეთებულ აღმოჩენას, რაც სათანადოდ ფორმდებოდა მეცნიერული გამოკვლევის სახით, იგი ხშირად აღარც უბრუნდებოდა და მთელი თავისი ყურადღება და ნიჭი სულ სხვა საკითხებზე გადაჰქონდა, რომლებიც ამ ეტაპზე მას უფრო მნიშვნელოვნად და საინტერესოდ ეჩვენებოდა; და აქ იგი კვლავ ქმნიდა ბრწყინვალე გამოკვლევებს, რომლებიც მკითხველს აოცებს ავტორის მეცნიერული ერუდიციით, სახავდა ახალ პრობლემებს, რომლებიც კვლავ იპყრობდა მსოფლიო მეცნიერების ყურადღებას.

მრავალმხრივმა და ღრმა ერუდიციამ, მაღალი კლასის მეცნიერულმა ნაშრომებმა, ამავე დროს, არაჩვეულებრივმა ორგანიზატორულმა უნარმა დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა მსოფლიო მეცნიერებაში გიორგი წერეთელს და მის მიერ შექმნილ საენათმეცნიერო სკოლას, ხოლო გიორგი წერეთლის ინიციატივით დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **„აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი“**, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, მისი ხელმძღვანელობით მსოფლიო ორიენტალისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

> **გიორგი წერეთელი თავის თავში აერთიანებდა ფაქტობრივად რამდენიმე სამეცნიერო დარგის სპეციალისტსა და ღრმა მცოდნეს, რაც მას საშუალებას აძლევდა ახლებურად, თავისებური თვალთახედვით შეეხედა თითოეული ამ დარგისათვის; იგი იყო საქვეყნოდ აღიარებული სემიტოლოგი, უბადლო ირანისტი და ქართველოლოგი; იგი იყო ბრწყინვალე ფილოლოგისა და ენათმეცნიერი, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა დონეზე და ხშირად თავისი გამოკვლევებით თვით განსაზღვრავდა ამ დონეს...**

გიორგი წერეთელი თავის თავში აერთიანებდა ფაქტობრივად რამდენიმე სამეცნიერო დარგის სპეციალისტსა და ღრმა მცოდნეს, რაც მას საშუალებას აძლევდა ახლებურად, თავისებური თვალთახედვით შეეხედა თითოეული ამ დარგისათვის; იგი იყო საქვეყნოდ აღიარებული სემიტოლოგი, უბადლო ირანისტი და ქართველოლოგი; იგი იყო ბრწყინვალე ფილოლოგოსი და ენათმეცნიერი, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა დონეზე და ხშირად თავისი გამოკვლევებით თვით განსაზღვრავდა ამ დონეს...

1968 წ. გიორგი წერეთელს, უკვე მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერს, მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის ირჩევენ მაშინდელი „საკავშირო აკადემიის“ ნამდვილ წევრად. გიორგი წერეთლის არჩევა „საკავშირო აკადემიის“ აკადემიკოსად ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობამ მიიჩნია მისი მრავალმხრივი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის სამართლიან აღიარებად.

გიორგი წერეთლის, როგორც მეცნიერის სიდიადე განისაზღვრება არა გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობით, არამედ მის მიერ შექმნილ გამოკვლევათა ხასიათით, რომელთაგან თითოეული თავისებურ აღმოჩენას წარმოადგენს და წარუშლელ კვალს ტოვებს ეროვნული და მსოფლიო მეცნიერების სათანადო დარგებში.

გიორგი წერეთელი თავის თავში აერთიანებდა ფაქტობრივად რამდენიმე სამეცნიერო დარგის სპეციალისტსა და ღრმა მცოდნეს, რაც მას საშუალებას აძლევდა ახლებურად, თავისებური თვალთახედვით შეეხედა თითოეული ამ დარგისათვის; იგი იყო საქვეყნოდ აღიარებული სემიტოლოგი, უბადლო ირანისტი და ქართველოლოგი; იგი იყო ბრწყინვალე ფილოლოგოსი და ენათმეცნიერი, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა დონეზე და ხშირად თავისი გამოკვლევებით თვით განსაზღვრავდა ამ დონეს...

გიორგი წერეთელი განეკუთვნება იმ ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა რიგს, რომელთაც მეცნიერებაში გადალახეს საკუთრივ ეროვნული საზღვრები, თავიანთი შემოქმედების ზოგადმეცნიერული ღირებულებისა და მნიშვნელობის წყალობით ფართო ასპარეზზე გავიდნენ და მით ეროვნულ მეცნიერებას საერთაშორისო მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი დაუმკვიდრეს და საყოველთაო აღიარება მოუპოვეს...

ნიშანდობლივია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოსული ვრცელი ტომი თანამედროვეობის გამოჩენილი ენათმეცნიერისა და კულტურის ისტორიკოსის **რომან იაკობსონის** ნაწერებისა ლექსთწყობისა და საზოგადოდ პოეტიკის პრობლემებზე ეძღვნება **„გიორგი წერეთელს – ადამიანს, მებრძოლს, მკვლევარს“**. ეს არის, უდავოდ, საერთაშორისო აღიარება იმ დიდი წვლილისა, რაც გიორგი წერეთელმა შეიტანა საზოგადოდ თანამედროვე მეცნიერების განვითარებაში.

სწორედ ასეთი პიროვნებები უთქვამენ საქვეყნოდ სახელს ქართულ ეროვნულ მეცნიერებასა და კულტურას, მთელ ქართველ ხალხს და მას მსოფლიოს თვალში თანამედროვე ცივილიზებული და კულტურულად მოწინავე ერების რიგში აყენებენ, სწორედ ეს არის **გიორგი წერეთლის** დიდი დამსახურება ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის წინაშე...

დღეს ქართველი ხალხის წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე უპირატესად ქართული მეცნიერებისა და ქართული კულტურის მეშვეობით თუ შეიძლება მოხდეს. ამა თუ იმ ხალხის საყოველთაო აღიარების საფუძველს მხოლოდ მის მიერ წარმოქმნილი მეცნიერული თუ კულტურული ფასეულობანი ქმნიან, რომელთა მიხედვითაც ფასდება ამ ხალხის წვლილი და ადგილი საკაცობრიო ცივილიზაციაში.

ერთი ასეთი მეცნიერთაგანი, რომელთაც სახელი გაუთქვეს მსოფლიოში მთელ ქართულ მეცნიერებას, რომელთა მიხედვითაც მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობას წარმოდგენა ექმნება ქართული მეცნიერებისა და კულტურის უმაღლესი საერთაშორისო დონის შესახებ, სწორედ აკადემიკოსი გიორგი წერეთელი გახლდათ.

გიორგი წერეთლის სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ აღსავსე იყო ახალი მეცნიერული იდეებით, ახალ-ახალი სამეცნიერო წამოწყებებით. ამ იდეების განხორციელება მას აღარ დასცალდა; მაგრამ ის, რისი შექმნაც მან მოასწრო, სამუდამოდ შევა ქართული და საერთაშორისო მეცნიერების საგანძურში.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავის სასიქადულო შვილს სამარადისო ადგილსამყოფელი დაუმკვიდრა ქართული მეცნიერების ტაძარში, ეროვნული უნივერსიტეტის მიწაზე, სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა გვერდით...

თამაზ გამყრელიძე,
აკადემიკოსი

◎ ეკონომიკა

ანაკლიის პორტს 12-მა კომპანიამ დაუმიზნა...

100 მილიონტონიანი პორტის მშენებლობით 12 უცხოური კომპანია დაინტერესდა. მათგან საუკეთესოებს ეკონომიკის სამინისტრო გამოავლენს და შემდეგ საუკეთესოთა შორის საუკეთესოს გამოსავლენად მოლაპარაკებებს გამართავს. პორტმა, რომლის აშენება 900 მლნ დოლარამდე დაჯდება, 10 წელიწადში ქვეყანას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი უნდა მოუტანოს.

ანაკლიაში შავი ზღვის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის ვადა დასრულდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში განაცხადების განმხილველი კომისიის პირველი სხდომა უკვე გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე, ეკონომიკის მინისტრის მოადგილეები, იუსტიციის, ფინანსთა, ინფრასტრუქტურის სამინისტროებისა და ასევე ეკონომიკური საბჭოს წარმომადგენლები.

კომისიის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობასა და ოპერირებაზე ინტერესი გამოხატა 12 კომპანიამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. კომისია იწყებს კომპანიების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი განაცხადების დეტალურ შესწავლას, რის შედეგადაც მოხდება იმ კომპანიების მოკლე სიის, ე.წ. „შორთ-ლისტის“ შედგენა, რომლებიც დააკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს. მოკლე სიაში შესულ კომპანიებს გაეგზავნებათ მოთხოვნა წინადადებების წარმოდგენის შესახებ.

— ძალიან სასიხარულოა, რომ 12 კომპანიამ წარმოადგინა განაცხადი. ქვეყნების სპექტრი არის ძალიან მრავალფეროვანი, შემიძლია, ჩამოვთვალო, რომ აქ არის ბელგია, ინდოეთი, ისრაელი, სინგაპური, აშშ, კვიპროსი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი... შემდეგ ეტაპზე მოხდება კომპანიების ე.წ. „მოკლე სიის“ დადგენა, რომლებთანაც პირდაპირი მოლაპარაკებით გავაგრძელებთ კონცეფციაზე და კონტრაქტის დეტალებზე მუშაობას, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრის გათვლებით, ტექნიკური და ფინანსური რესურსის მობილიზებას დაახლოებით ერთი წელი დასჭირდება. მინისტრი ამბობს, რომ ღრმაწყლიანი პორტის განვითარება რამდენიმე ფაზას მოიცავს და პირველი, სამწლიანი ფაზა საქართველოს გადაზიდვების პოტენციალის გაორმაგებას გულისხმობს. პორტის საბოლოო სიმძლავრემ, წინასწარი მონაცემებით, 100 მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს.

წინასწარი გათვლებით, პორტის ღირებულება 700 მილიონიდან 800-900 მილიონ დოლარამდე იქნება, მთლიანად ლოჯისტიკური და საწარმოო ზონის განვითარება კი რამდენიმე მილიარდიანი პროექტია, რომელიც საქართველოს შემდეგ 10 წელიწადში დიდ ეკონომიკურ ზრდას მოუტანს.

ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძეს ანაკლიის პორტთან დაკავშირებით არაერთი შეკითხვა აქვს. მათგან მთავარია, ვისი ფულით აშენდება ეს ობიექტი:

— საინტერესოა, საბოლოო ჯამში, ვისი ფულით აშენდება ეს — რამდენიმე ინვესტორის მონაწილეობით, სახელმწიფოს დაკვეთით, თუ ერთ კომპანიას მიჰყიდიან და ის პორტს აიშენებს? თანაც, მხოლოდ პორტი ხომ არ იქნება, ალბათ, ინფრასტრუქტურაც არის გასათვალისწინებელი... თუ ამისთვის ბიუჯეტის ფული უნდა დაიხარჯოს, მაშინ არ მგონია, ეს კარგი იდეა. თუ კერძო პირი დახარჯავს ამაში ფულს, ის პერსპექტივასაც დაინახავს და ააშენებს კიდეც პორტს, — აცხადებს შეშელიძე.

მთავრობაში უკვე განაცხადეს, რომ პორტი კერძო კაპიტალით აშენდება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან უშუალოდ მშენებლობის დაფინანსება არ იგეგმება.

ბექა დანელია

◎ გუშინდელი ფოსტიდან

პენსია: აბუჩად ნუ აგვიგდებთ!

დღეს 65 წელს მიღწეული ადამიანი საპენსიო ასაკისაა. ამას წინათ ტელევიზიით ასეთი ფრაზაც გავიგონე, 65 წლის მოხუცებული ადამიანიო (ჩემს თავს მთლად მოხუცებულად არ ვთვლი), თუმცა, სიმართლეს თვალს თუ გავუსწორებთ, მართლაც სერიოზული ასაკია. უნებურად, მებადება კითხვა ქალაქის ახალ მერთან, ბატონ დავით ნარმანიასთან (ხმა მას და ქართულ ოცნებას მივეცი), — როდესაც ჩინოვნიკების ხელფასის დანამატზე საუბრობთ, მინდა, კარგად გაითავისოთ, რომ ჩვენ, 65 წლის ადამიანები, სწორედ იმ ასაკს განვეკუთვნით, ვის თავზეც საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, მტკივნეული ძმათა დაპირისპირება, აფხაზეთის ომი, ენერგოკრიზისი, გაჭირვება და ბოლო წლების ყველა სირთულე დაგვაწვა. ჩვენ ამას გავუძელით და დღემდე მოვედით. ვთვლი, რომ არაფრით ვართ ვეტერანებზე ნაკლები და გამგონემ ეს კარგად გაიგოს. ჩვენ თურმე კიდევ უნდა მოვითმინოთ და გუშინდელმა ახალგაზრდებმა, რომლებიც განათებულ და კონდიცირებულ კაბინეტებში სხედან, კიდევ დანამატები უნდა მიიღონ... უნებურად მახსენდება ერთი უხსენებელი კაცის სიტყვები — „ნურას უკაცრავად“!.. ჯერ საკუთარ ხალხს მიენდეთ, ანუ ჯერ ცხენს აჭამეთ ბალახი, უნაგირი კი მერე მოირგეთ.

ცოტა თქვენ მოიკელით, ცოტა ძალოვნებს მოაკელით უსაშველოდ გაზრდილი პენსია და ადამიანებს, ვინც ღირსეული ცხოვრება დაიმსახურა, 5 და 10 ლარის მომატებით აბუჩად ნუ აიგდებთ.

ვალიკო დოლიძე,
პენსიონერი, ჩოხატაურიდან

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ზაზა ბერელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა ბერელიძე (პირადი №01005009603), მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №8, ბინა №38;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. თბილისი, კოჯორი, სოფელი კვესეთი, 600კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 81.01.07.493);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 460.07 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2014 წლის 31 ოქტომბერი, 15:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** შპს „ლაზურკა“ (ს/კ 401978758), მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №8, ბინა №38;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 31 ოქტომბრის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ როგორ ვცხოვრობთ?

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასის მიმღებთა რაოდენობა იზრდება

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში შრომის ანაზღაურების მუხლისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა 2014 წელთან შედარებით 54 მლნ ლარით არის გაზრდილი.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული არ არის საჯარო სექტორში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოების ზრდა. ამჟამად, მუშაობა მიმდინარეობს პედაგოგთა ხელფასების გაზრდისა და მოწესრიგების მიმართულებით, რაც ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის დროს აისახება ზოგადასაგანმანათლებლო სკოლების ვაუჩერული დაფინანსებისთვის გათვალისწინებულ ასიგნებებში.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნულის მიუხედავად, 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში შრომის ანაზღაურების მუხლისთვის გათვალისწინებული ოდენობა 2014 წელთან შედარებით გაზრდილია 54 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზით: საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ნორმები იძლევა შესაძლებლობას, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის მიმდინარე ხარჯების დაფარვის მიზნით გამოყოფილი ასიგნებები გათვალისწინებული იქნეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „სუბსიდიის“ მუხლში. საჯარო სამართლის იურიდიული პირების დიდი ნაწილისთვის აღნიშნული ნორმა გამოიყენებოდა და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მათი დაფინანსება წარმოდგენილი იყო მხოლოდ სუბსიდირებით და არ ასახავდა მათ მიერ დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობას და მათთვის გაწეულ შრომის ანაზღაურებას.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ყოველწლიურად უმჯობესდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის მექანიზმები, შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების გადასახდელების დაგეგმვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლების მიხედვით და მათ მიერ დასაქმებულთა ასახვა წლიური ბიუჯეტის კანონში.

მაგალითად: **ყველასთვის ნათელია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სხვადასხვა თეატრებში, მუზეუმებში, ანსამბლებსა და კულტურის სხვა დაწესებულებებში დასაქმებულია და ხელფასს იღებს კულტურის მოღვაწეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და შესაბამისი ტექნიკური პერსონალი. მათი შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული თანხა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წლების მანძილზე გაიწეოდა „სუბსიდიის“ მუხლიდან და ამ დაწესებულებებში დასაქმებული პირები არ შედიოდნენ ბიუჯეტის კანონით შესაბამისი სამინისტროსათვის გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობაში. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში კი, მოხდა ამ საშტატო ერთეულების მომუშავეთა რიცხოვნობაში გათვალისწინება და მათი შრომის ანაზღაურებისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინება „შრომის ანაზღაურების“ მუხლში ნაცვლად „სუბსიდიის“ მუხლისა, რის გამოც სამინისტროს რიცხოვნობა 2014 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ ოდენობასთან შედარებით გაზრდილია 6067 ერთეულით, ხოლო შრომის ანაზღაურების ფონდი 47 მლნ ლარით და აღნიშნულის ხარჯზე შემცირებულია სამინისტროს ბიუჯეტის პროექტით „სუბსიდიის“ მუხლში გათვალისწინებულო ოდენობა.**

ძირითადად, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ჯამურად მომუშავეთა რიცხოვნობა 2014 წლის დამტკიცებულ მოცულობასთან დაკავშირებით გაზრდილია 4460 ერთეულით, ხოლო შრომის ანაზღაურების ფონდი, როგორც ითქვა, 54 მლნ ლარით.

ნენე სტეფანიშვილი

◎ რუსეთი და საქართველო

ნდობის დეფიციტი

რობორც ცნობილია, 2014 წლის დასაწყისში იყო შესაძლებლობა, რომ რუსეთისა და საქართველოს ლიდერები ერთმანეთს შეხვედროდნენ: გვახსოვს ვლადიმერ პუტინის განცხადება სოჭში, როცა მან არ გამორიცხა თავის კოლეგასთან შეხვედრის ალბათობა. გვახსოვს ისიც, როგორ პერიოდში გაიჟღერა ამ განცხადებამ — უკრაინის მოვლენები სულ უფრო ღრმავდებოდა... მას შემდეგ არც პუტინს და არც მედვედევს მსგავსი რამ აღარ უთქვამთ, წერს „ნოევ კოვჩეგიში“ ანდრეი სუშენცოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის („მგიმო“) უფროსი მასწავლებელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ნატოს სამიტის წინ რამდენიმე ხნით ადრე საქართველოს იმედი ჰქონდა, რომ უელსში ალიანსი თბილისს რაღაც კარგს შესთავაზებდა, ვთქვათ, „მაპში“ ჩართვას, ან უფრო უკეთესს. ამას დაემატა ხელმოწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზეც.. მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში საქართველოში ეს ოპტიმისტური ხმები მუსირებდა და ამ ფონზე კვლავ გამოცოცხლდა „რუსული მუქარის“ გამოძახილი: მკვეთრად ანტირუსული განცხადებებით გამოდიოდნენ არა მარტო პარლამენტის წევრები ორივე ბანაკიდან, არამედ პრეზიდენტი და მთავრობის წევრებიც, განსაკუთრებით ირაკლი ალასანია, რომელიც აშშ-ში ვიზიტის დროს ამერიკას საქართველოს ტერიტორიით სარგებლობას სთავაზობდა რუსეთის წინააღმდეგ.

„რთული წარმოსადგენია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ეს სცენარი რომ განხორციელებულიყო. არ დავმალავ, მოსკოვში ექსპერტები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს თბილისის პოლიტიკურ მანევრებს. საქართველოს მცდელობა იმ მიზნით, რომ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობა, განიხილებოდა მოსკოვის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ ქმედებად, ხოლო ანტირუსული კურსის რესტავრაცია — მნიშვნელოვან საფრთხედ. საბედნიეროდ, ვაშინგტონში, ბრიუსელსა და თბილისში საღმა აზრმა გადასძალა. დასავლეთისათვის რუსეთთან კონფრონტაცია სტრატეგიულ არჩევნად არ იქცა. საქართველოსთან დაპირისპირებისკენ ამისთვის არც მოსკოვი არ მიისწრაფვოდა, რომელიც სულ სხვა პრობლემით — ყირიმსა და უკრაინაში თავისი ინტერესების დაცვით იყო დაკავებული.. პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც შეატყო, რომ ატლანტიკურ ინტეგრაციაში არავითარი გარღვევა არ მოხდებოდა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საკმაოდ საღი შეფასებებით გამოდიოდა (ეს ირაკლი ღარიბაშვილს არ უნდა დავუკარგოთ) — ამბობდა, რომ უკრაინის მოვლენებს თბილის-მოსკოვის კონტაქტებზე გავლენას ვერ მოახდენდა. ირაკლი ღარიბაშვილის გათვლები დადასტურდა — საქართველომ ნატოს სამიტზე „მაპი“ ვერ მიიღო. როგორც ჩანს, მთავრობის მეთაურის ასეთი პრაგმატული მიდგომა მოსკოვშიც შეამჩნიეს — ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზება მეტ-ნაკლებად კვლავ მნიშვნელოვანი ინციდენტების გარეშე გრძელდებოდა...

თუმცა, აშკარაა, რომ უახლოეს პერსპექტივაში მოსკოვისა და თბილისათვის ერთმანეთთან ურთიერთობა პრიორიტეტული აღარ იქნება და მეორე პლანზე გადავა. ამას თავისი მიზეზები აქვს: 2013-14 წლების განმავლობაში მხარეებმა გააცნობიერეს, რომ ურთიერთობის ნორმალიზების ჩარჩოები მნიშვნელოვნადაა შეზღუდული, რაც არა მარტო აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სტატუსის პრობლემასთან არის დაკავშირებული — კომპრომისი აქ, პრინციპში, შესაძლებელია. მთავარი ისაა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში შენარჩუნებულია ის სიღრმული განსხვავება, რაც ჯერ კიდევ გამსახურდიასა და შევარდნაძის საგარეო პოლიტიკიდან მომდინარეობს: საქართველო თავის თავს ხედავს მხოლოდ ისეთ პროექტებში, რომელნიც რუსეთსგარეშენი არიან და საკუთარი პრობლემების მოგვარებას რუსეთთან თანამშრომლობით არ ცდილობს. საქართველოსთვის უცხოა სომხეთისა და ყაზახეთისათვის დამახასიათებელი მრავალვექტორული პოლიტიკა. თბილისს შეუძლია, არ შეამჩნიოს მისთვის სასარგებლო კავშირები რუსეთთან, თუ დარწმუნებულია, რომ მათ გარეშეც გაძლებს. აშკარად ჩანს, რომ საქართველო ატარებს რუსეთთან თავისი დამოკიდებულების შემცირებისკენ მიმართულ პოლიტიკას და ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. დღეს არსებული კონტაქტების ფორმატი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დაადგინა, პოლიტიკური პრობლემების განხილვას არ ითვალისწინებს, ამ სფეროში საქართველო უფრო დასავლეთს ენდობა.

ამგვარი სიტუაცია მკვეთრად ზრდის საქართველოს მიმართულებით წამოსული რუსეთის საინიციატივო პოლიტიკის ღირებულებას. მოსკოვს არ შეუძლია, თბილისს ენდოს იმიტომ, რომ თბილისს არ სურს მოსკოვისადმი ნდობა. ისეთი ურთიერთნდობა და ღრმა თანამშრომლობა, როგორიც რუსეთსა და სომხეთს შორისაა ჩამოყალიბებული, თბილისსა და მოსკოვს შორის შეუძლებელია. თანაც ამ ვითარების შეცვლის სიმპტომების გაჩენა უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელი არ არის.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორი სახელმწიფო ერთმანეთისაგან კედლით იქნება გამიჯნული. პირიქით, იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების ფორმატში განიხილებოდა, მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული: ვაჭრობის ტემპები განუხრელად იზრდება, რუსი ტურისტების ნაკადი მატულობს, მალე განახლდება ავიამიმოსვლა, არის პერსპექტივები სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების რეალიზების თვალსაზრისით... არაა გამორიცხული ამ პროექტებში ანკარისა და ბაქოს მონაწილეობის შესაძლებლობა...

რეზიუმეს სახით შეიძლება ითქვას:

ალბათ, უახლოეს თვეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალი თემატიკით გაფართოვდება, ყოველ შემთხვევაში, სიტუაცია ამას გვაიძულებს. შესაძლოა, ამას ხელი შეუწყოს უკრაინის კონფლიქტის ჩაწყნარებამ, როცა კვლავ შეიქმნება შესაფერისი სიტუაცია რუსეთისა და საქართველოს ლიდერების შეხვედრისათვის, მაგრამ ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზებას მკვეთრად გამოხატული ჩარჩოები აქვს. საქართველოს გლობალური სტრატეგია ისევ ძველებური რჩება — დასავლეთთან დაახლოება, მისი რესურსების გამოყენება, რათა რუსეთი აიძულოს, უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი დახმარებაზე. საქართველოს შეუპოვრობა და ერთგულება არჩეული სტრატეგიისადმი მხარეებს იმის ნებას არ აძლევს, რომ არსებული ვითარება გადაიხედოს და ერთობლივად განისაზღვროს ალტერნატიული მომავალი.

ᲧᲘ-ᲔᲘᲩ-ᲔᲜᲘ

◎ აღშფოთება

ცილისწამებაც არის და ცილისწამებაც!

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის რეზოლუცია

ბოლო პერიოდში მედიის საშუალებებით გავრცელდა საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ მაკომპრომეტირებელი ცილისმწამებლური ინფორმაცია, მათ შორის, კავშირის მიერ გაქირავებული შენობის პირველ სართულზე არსებულ კაფე-ბარში, ვითომდა, საროსკიპოს არსებობის შესახებ.

კავშირის თავმჯდომარის მოთხოვნით სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარდა გამოძიება, რომელმაც დაადასტურა ბრალდებების უსაფუძვლობა, რაც ასახულია პოლიციის შესაბამის დასკვნაში. კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს — გამგეობის მიერ კი ცილისმწამებელთა წინააღმდეგ აღძრულია სასამართლო პროცესი.

მიმდინარე წლის სექტემბერში ტელეკომპანია „ობიექტივის“ გადაცემაში „მარადიული ფასეულობები“ კვლავ განახლდა ცილისმწამებლური ბრალდებები მიწვეული სტუმრების — კომპოზიტორთა კავშირის წევრების — ბარამ ბარამიძისა და ვაჟა აზარაშვილის მხრიდან. კერძოდ, ბარამ ბარამიძემ წარმოადგინა მათ მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეტანილი წერილის ტექსტი მოთხოვნით, რათა შეჩერდეს ბორჯომის კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლის კავშირისთვის დაბრუნების საკითხის განხილვის ყოველგვარი მცდელობა, ვინაიდან „კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობა მოქმედებს თვითნებურად და ერთპიროვნულად, კავშირის წესდების სრული დარღვევით“.

ვაცხადებთ, რომ კავშირში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესი, მათ შორის სამთავრობო სტრუქტურებთან ურთიერთობა, ფართის საიჯარო ხელშეკრულებების საკითხი, შემოქმედებითი პროექტები და სხვა, ხორციელდება კავშირის გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ეჭვისაღმძვრელი უსაფუძვლო ბრალდებების გავრცელება ართულებს თანამშრომლობას სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებთან, რომლებთანაც გვაქვს ინტენსიური ურთიერთობა და მოლაპარაკებები, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ბორჯომის კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლის კავშირისთვის დაბრუნების თაობაზე.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა აღშფოთებულია კავშირის წინააღმდეგ აგორებული ცილისმწამებლური კამპანიით, რომელიც, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს კავშირისათვის ზიანის მიყენებას. გამგეობა სასტიკად გმობს ყოველგვარ ცილისმწამებლურ და კავშირისა და მისი ხელმძღვანელობის რეპუტაციის შემლახველ ქმედებებს, როგორც კავშირის წევრთა, ასევე, ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მხრიდან.

(რეზოლუცია მიღებულია საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის სხდომაზე).

რეზოლუციას ხელს აწერენ:

კახა ცაბაძე,
საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე,

გომარ სიხარულიძე,
თავმჯდომარის მოადგილე,

მარინა ქავთარაძე,
თავმჯდომარის მოადგილე,

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრები: **ნინო ბახტაძე, ლიდია გოგუა, მაია ვირსალაძე, ლალი კაკულია, თეონა კახიძე, ელიზბარ ლომდარიძე, ნათელა მამალაძე, ნინო მესხი, ზურაბ ნადარეიშვილი, ზურაბ ოიკაშვილი, მიხეილ ოძელი, გულბათ ტორაძე, გიორგი შავერზაშვილი, თამარ წულუკიძე, რუსუდან ხორავა.**

◎ ალიანჩალიანი

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა თაღლითურად მიითვისეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, დიდი ოდენობით მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების ბრალდებით მოქალაქეები ანა მაღრაძე, მარინე ნადირაძე და ეკონომიკის სამინისტროს, სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების გარდაბნის ტერიტორიული ორგანოს სამმართველოს ყოფილი უფროსი შოთა დიდებაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ანა მაღრაძე და მარინე ნადირაძე, შოთა დიდებაშვილის დახმარებით, თაღლითურად დაეუფლნენ დიდი ოდენობით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ე.წ. ხეხილსანერგე მეურნეობის (ივერთუბანი) ტერიტორიაზე მდებარე 11.05 ჰექტარ მიწის ნაკვეთებს, რომელთა საერთო ღირებულება, 1020 850 ლარს შეადგენს.

„ჩადენილი დანაშაულისათვის ანა მაღრაძის და მარინე ნადირაძის მიმართ გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რისთვისაც სასჯელის ზომად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 6-დან 9 წლამდე ვადით, ხოლო შოთა დიდებაშვილის მიმართ სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს“, — ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი დიპლომატიურ შეტევაზე გადადის

თბილისში მკვეთრი რეაგირება მოახდინეს რუსეთის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების პროექტზე აფხაზეთთან მოკავშირეობის შესახებ

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ 20 ოქტომბერს ლუქსემბურგში ევროკავშირის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად განიხილა საკითხი რუსეთის პროექტის შესახებ აფხაზეთისა და რუსეთის ფედერაციას შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციასთან დაკავშირებით. იმავე დღეს მისმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა იგივე საკითხთან დაკავშირებით გამართა შეხვედრა უცხოელ დიპლომატებთან, რომლებიც აკრედიტებული არიან საქართველოში.

როგორც ადრე გახდა ცნობილი, უშიშროებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომის შედეგად საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს, დაამუშაოს მოქმედებათა ერთიანი გეგმა მოსკოვსა და სოხუმს შორის ახალი ხელშეკრულების დაგეგმილ ხელმოწერასთან დაკავშირებით.

„ეს გულისხმობს როგორც უცხოურ აქტიურობას, ისე სხვა მიმართულებებსაც... ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია იქნება გამოყენებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვისათვის და მოქმედებათა გეგმის განხორციელებისათვის, რისთვისაც გამოყენებული იქნება ყველა პოლიტიკური შტო“, — განაცხადა უშიშროების და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ.

„ყველა სახელმწიფო უწყება ჩაერთვება ამ გეგმის განხორციელებაში. ამის გათვალისწინებით, დაიწყება საკმაოდ აგრესიული საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯები“, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ მოგვიანებით განმარტა, რომ „აგრესიული პოლიტიკა პროაქტიურ პოლიტიკას გულისხმობს“. მისი სიტყვებით, ამის აუცილებლობა გაჩნდა „იმ გამოწვევების გამო, რაც საქართველოს წინაშე დადგა“.

თბილისში გაღიზიანების საგანი გახდა რუსეთის მიერ დამუშავებული აფხაზეთთან მოკავშირეობის ახალი ხელშეკრულების პროექტი, რომელმაც ასევე არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია სოხუმში. მასში არსებული კომპონენტები თავდაცვისა და უშიშროების საერთო სივრცის ჩამოყალიბების შესახებ საგარეო პოლიტიკასა და სოციალურ სფეროში მოიწონა აფხაზეთის ყველა პოლიტიკურმა ძალამ. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის პოლიტიკოსების ნაწილმა განაცხადა, რომ შემოთავაზებული პროექტის გარკვეული პუნქტები უქმნიან საფრთხეს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და ზიანს აყენებენ მის სუვერენიტეტს. შედეგად, შეიქმნა აფხაზი დეპუტატების სამუშაო ჯგუფი, რომელიც, აფხაზეთის პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, იწყებს მუშაობას ხელშეკრულების ახალ პროექტზე.

„ანექსიის მცდელობა“

მას შემდეგ, რაც აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ხელშეკრულების რუსული პროექტის წინასწარი ტექსტი, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დანიშნა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა 28 ოქტომბრისათვის. საქართველოს პარლამენტმა კი მიიღო მმართველი პარტიის დეპუტატების მიერ ინიციირებული განცხადება, რომელშიც დაგმეს „ოკუპირებული აფხაზეთის ანექსიის მცდელობა“ რუსეთის მხრიდან ხელშეკრულების დაგეგმილი გაფორმების შედეგად.

დეპუტატებმა არ დაუჭირეს მხარი ოპოზიციური ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეიცავდა უფრო მკვეთრ ფორმულირებებს და მოუწოდებდა მთავრობას — „გადასინჯოს დღემდე განხორციელებული კონტრპროდუქტიული პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობაში“, გააუქმოს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს პირდაპირი მოლაპარაკების ფორმატი, აგრეთვე „შეწყვიტოს საუბრები საერთაშორისო არენაზე „რუსეთთან წარმატებული კონსტრუქციული დიალოგის შესახებ“. უფრო მეტიც, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოუწოდებდა ხელისუფლებას ერთმანეთს შეუთავსოს საკითხი საქართველოს დეოკუპაციისა და უკრაინის დეოკუპაციის შესახებ საერთაშორისო დღის წესრიგში და მხარი დაუჭიროს საერთაშორისო სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ გაოცება გამოთქვა, ოპოზიციის მოთხოვნის გამო გაუქმდეს მოლაპარაკების ფორმატი, რასაც იგი 2012 წლიდან აწარმოებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან. მისი სიტყვებით, ეს ფორმატი „კომუნიკაციების არხია“, რომელიც იძლევა შესაძლებლობას განვიხილოთ რუსეთის წარმომადგენელთან „პრაქტიკული“ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობასთან, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ურთიერთობებთან.

„უკრაინაც კი, რომელსაც ასეთი რთული ურთიერთობები აქვს რუსეთთან, არ წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობებს. ამიტომ შენიშვნა ფორმატთან დაკავშირებით გაუგებარია“, — განაცხადა აბაშიძემ.

ექსპერტის შეფასება

სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი და მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ყოფილი მინისტრის მოადგილე ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ, მიუხედავად განცხადებებისა, საქართველოს ხელისუფლების მიერ ჯერჯერობით არ გადადგმულა „სათანდო“ დიპლომატიური ნაბიჯები საგანგებო სიტუაციის საპასუხოდ, რომელიც შექმნა რეგიონში აფხაზეთთან რუსეთის ხელშეკრულების პროექტმა.

ექსპერტი ამტკიცებს, რომ ამ საკითხის განხილვა „რუტინული ვიზიტებისა და შეხვედრების დროს“, რომლებიც ადრე იყო დაგეგმილი, ხელს არ შეუწყობს საერთაშორისო გაერთიანების შესაბამის მობილიზაციას.

მისი სიტყვებით, საქართველოს მთავრობამ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადასინჯოს თავისი სტრატეგია რუსეთთან დამოკიდებულებაში. ხოშტარია ამბობს, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა განზრახვის შესახებ — მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან დიალოგის გზით, მაგრამ, შედეგად, პოლიტოლოგის აზრით, მიუხედავად სავაჭრო ურთიერთობათა განახლებისა, სიტუაცია გაუარესდა და საქართველო აღმოჩნდა „ხარისხობრივად ახალი საფრთხის“ წინაშე, ესე იგი, აფხაზეთის ანექსიის გამო რუსეთის მიერ.

„ამავე რეჟიმში ურთიერთობის გაგრძელება მოსკოვთან ნიშნავს, რომ აფხაზეთის პრობლემას მნიშვნელობა არ ენიჭება. უფრო მეტიც, ეს ასუსტებს საერთაშორისო გაერთიანების აქტივობას, ვინაიდან თუ თბილისი, მიუხედავად აფხაზეთის ანექსიისა, კვლავ გააგრძელებს საუბარს ნორმალიზაციის შესახებ, ბუნებრივია, მსოფლიოს თვალში ასეთი ფაქტის მნიშვნელობა მცირდება“, — თქვა ხოშტარიამ ჩვენთან ინტერვიუში.

ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაამუშაოს და გაახმაუროს რუსეთის მოქმედებების „ერთიანი სტრატეგიული შეფასება“ საქართველოსთან დაკავშირებით.

„პრეზიდენტმა და პრემიერმა უნდა გააკეთონ ზუსტი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის მცდელობანი მოახდინოს მოსკოვთან ურთიერთობის ნორმალიზება, უშედეგო აღმოჩნდა. უფრო მეტიც, აუცილებელია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ რუსეთის გეგმები — მოახდინოს საქართველოს ტერიტორიების ანექსია — უქმნის საფრთხეს ევროპის უშიშროებას, ვინაიდან საქართველო რეალურად დგას ყირიმის სცენარის წინაშე“, — ამბობს ექსპერტი.

მეორე, ხოშტარიას სიტყვებით, ხელისუფლება უნდა გადავიდეს მუშაობის საგანგებო რეჟიმზე, რაც გულისხმობს არარიგითი ვიზიტების ორგანიზაციას მსოფლიოს დედაქალაქებში რეგიონში შექმნილი საფრთხის გამო.

მესამე, მიაჩნია პოლიტოლოგს, თბილისმა უნდა მოიწვიოს საგანგებო რეჟიმში ყველა არსებული ფორმატები ამ საკითხის განხილვისათვის და, უწინარეს ყოვლისა, ჟენევის რიგგარეშე მოლაპარაკება. ისევე აამოქმედოს გაეროსა და ეუთოს მექანიზმები და მოითხოვოს ევროკავშირისაგან, რომელიც ამ პროცესში შუამავლის როლს ასრულებს, დაამუშაოს მოქმედებათა სპეციალური გეგმა შექმნილი სიტუაციისთვის. მისი სიტყვებით, „საჭიროა, ჩავრთოთ ევროპა იმ პრობლემის გადაწყვეტაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას“.

ასევე, ამბობს ხოშტარია, თბილისმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ საქართველოს პრობლემას განიხილავდეს საერთაშორისო გაერთიანება ყირიმის პრობლემასთან ერთად და რომ საქართველო ასევე იყოს განხილული როგორც სანქციების მიზეზი, რომლებიც მოქმედებს რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის ტერიტორიის ანექსიის გამო. ამით, ამბობს პოლიტოლოგი, რუსეთის პასუხისმგებლობა გაღრმავდება.

„დღემდე, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობაში იყო ის, რომ საჭიროა, შემცირდეს ხმაური, რათა არ გავაღიზიანოთ მოსკოვი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამან არანაირი ეფექტი არ გამოიღო. კრემლს თავისი სტრატეგია აქვს და იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს საქართველოს ხელმძღვანელობა. ასე რომ, რუსეთზე აქტიური საერთაშორისო ზემოქმედების გარეშე თბილისი ვერაფერს გახდება“, — დაასკვნა ხოშტარიამ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

დედამიწაზე გეეგისადმი ყველაზე მეგობრულ ადგილად კოპენჰაგენია მიჩნეული

ასეთ დასკვნამდე მივიდა გამომცემლობა Lonely Planet,რომელიც უშვებს სახელგანთქმულ გზამკვლევებს მოგზაურებისათვის. როგორც გამოკვლევაშია ნათქვამი, კოპენჰაგენში არის ერთი ყველაზე ტოლერანტული და ღია საზოგადოება ევროპაში. დანიის დედაქალაქს სიაში მოსდევს ახალი ზელანდია, ტორონტო და პალმ-სპრინგსი.

* * *

მსოფლიოში ძალადობისგან ყოველ ხუთ წუთში იღუპება 1 ბავშვი, დაიანგარიშეს იუნისეფში

ორგანიზაციის ბრიტანეთის განყოფილების მონაცემებით, დანაშაულთა უდიდესი ნაწილი ბავშვების წინააღმდეგ ხდება იმ ადგილებში, სადაც არაა სამხედრო კონფლიქტები. მთავარ დამნაშავეებად დასახელებულია სწრაფი ურბანიზაცია, უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის და სოციალური უთანასწორობა.

* * *

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის დროს ხელი მოეწერება შეთანხმებას რუსეთის ფედერაციასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კიბერუსფრთხოების შესახებ, ამტკიცებს პრესა

რუსეთსა და ჩინეთს შორის დიდი ხნის წინათ მომწიფებული შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საინფორმაციო სფეროში ხელმოწერილი იქნება ნოემბერში პუტინის ვიზიტის დროს პეკინში. ქვეყნების პოზიციები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან, ამასთანავე ორივე ქვეყანა გამოდის ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებისათვის ინტერნეტით მართვის საქმეში. ამავე დროს ანალიტიკოსებმა დაიანგარიშეს რუსეთის კომპანიების დანაკარგები კიბერდანაშაულობებისაგან.

* * *

ჩეხეთმა და იაპონიამ მიიღეს ზომები ებოლის ვირუსზე იმ ადამიანთა შემოწმებისათვის, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოდიან

სამშაბათიდან ჩეხეთის ხუთ აეროპორტში, რომლებიც საერთაშორისო რეისებს ღებულობენ, შემოიღებენ ყველა ჩამოსული მგზავრის შემოწმებას ებოლის ციებ-ცხელებით შესაძლო დაზიანებასთან დაკავშირებით. იაპონიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ავალდებულებს ქვეყანაში ყველა ჩამოსულს გვინეიდან, ლიბერიიდან და სიერა-ლეონედან 21 დღის განმავლობაში წარმოადგინონ მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მცირე, მაგრამ დამოუკიდებელი

როცა კი უფროს ან უცნობ ადამიანს თავაზიანად „თქვენობით“ მივმართავთ, წამითაც არ გვგონია, რომ ჩვენს წინ ერთი კი არა, არამედ რამდენიმე კაცია, ზრდილობიან ფორმას გაუთვითცნობიერებლად ვხმარობთ. თანაც ციდა რესპუბლიკა სან-მარინოზე ამ დროს ნამდვილად არ ვფიქრობთ...

სან-მარინო ევროპის ყველაზე ძველი, დალმატინელი ქვისმთლელისა და მქადაგებლის მარინოს მიერ IV საუკუნეში დაარსებული რესპუბლიკაა, რომლის 60 ათასზე ოდნავ მეტი მცხოვრებლის მშობლიური ენა იტალიურია.

ამ ქვეყანას ორი კაპიტან-რეგენტი მართავს. სამუშაო დროს მათ სტატუსით კუთვნილი შუასაუკუნოვანი სამოსი აცვიათ, გვერდზე დაშნა აქვთ ჩამოკიდებული. ითვლება, რომ, როცა მათგან ერთ-ერთი ლაპარაკობს, ორთავეს აზრს გამოთქვამს, ამდენად მას ისე უნდა მიმართონ, როგორც ორივეს ერთად. ამიტომაცაა, რომ სან-მარინოს მოსახლეობას ალალად სჯერა, რომ „თქვენობით“ მიმართვის ფორმას მსოფლიო სწორედ მათ კაპიტან-რეგენტებს უნდა უმადლოდეს. ამაში მართლაც არის ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი – ძველებს ზრდილობიანი მიმართვის ეს ფორმა არ ჰქონდათ. ყველაზე არქაულ ენებში ასეთი ფორმა არც ამჟამად არსებობს, საჭიროების შემთხვევაში კი „თქვენობას“ სხვა მიმართვით ცვლიან, რომელიც ადრესატისადმი პატივისცემას გამოხატავს.

სანმარინოელები, ისევე, როგორც სხვები, ერთმანეთს მუდამ „შენობით“ მიმართავდნენ, მაგრამ თავიანთ არჩევით მმართველებს „თქვენობით“ ელაპარაკებოდნენ, რითაც იმას აღნიშნავდნენ, რომ თანამოსაუბრე ორი კაცია. თანდათანობით ეს მიმართვა თავაზიანობის, პატივისცემის გამოხატულებად იქცა, რომელსაც უმცროსები უფროსებისადმი ანდა უცხო ადამიანები ერთმანეთისადმი მიმართვის დროს ხმარობდნენ. დროთა განმავლობაში ზრდილობიანი მიმართვის ეს ფორმა ევროპის ბევრ ქვეყანაში გავრცელდა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თავაზიანი მიმართვის წარმოშობის სხვა ვერსიებიც არსებობს, მაგალითად ის, რომ იგი რომაელი კონსულებისადმი მიმართვიდან წარმოიშვა, მაგრამ არსი მაინც იგივეა. თქვენ ერთ კაცს ელაპარაკებით, მაგრამ ზმნებისა და ნაცვალსახელების მრავლობით ფორმებს იყენებთ.

თუ მიმართვა „თქვენობის“ წარმოშობის ამბავი მთლად ბოლომდე მაინც გაურკვეველია, სამაგიეროდ, მთა მონტე-ტიტანის ფერდობებზე მდებარე ციდა რესპუბლიკასთან დაკავშირებული სხვა ამბავი ლეგენდა კი არა, ისტორიულად დადასტურებული ფაქტია.

1779 წელს იტალია და, მასთან ერთად, ცხადია, სან-მარინოც, მხედართმთავარ ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით საფრანგეთის ჯარმა დაიპყრო. იმხანად ნაპოლეონს რესპუბლიკური იდეალები ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა, ამიტომ იგი აღფრთოვანებული დარჩა ევროპის ამ ციცქნა რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობით, ხოლო თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებისადმი ერთგულებისთვის, სანმარინოელების დაჯილდოება გადაწყვიტა, ცხადია, თავისებურად. მან სან-მარინოს მიწა-წყლის გაფართოება მეზობელი მონარქიების ტერიტორიების ხარჯზე შესთავაზა – იმ დროს იტალია სამეფოებისა და საჰერცოგოების კონგლომერატს წარმოადგენდა, ბონაპარტი კი ევროპის პოლიტიკურ რუკას თავის ნებაზე ცვლიდა.

სან-მარინოს გენერალური საბჭო იმ დღეს დიდხანს არ გაგრძელებულა, გადაწყვეტილებაც ერთხმად მიიღეს: **რესპუბლიკა სან-მარინოს სხვისი მიწები არ სჭირდება და მეზობლების სამხედრო ძალით მუქარას არც ახლა, არც მომავალში არ აპირებს.**

რესპუბლიკაში საკუთარი ისტორიის ეს ეპიზოდი არა თუ არ დავიწყებიათ, შთამომავალთა შესაგონებლად დევიზად გაიხადეს: „მცირე, მაგრამ დამოუკიდებელი“.

აბა, ძვირფასო, თმას როგორ ივარცხნი?

ნაწნავი, „კარე“, მხრებზე ჩამოშლილი თუ „ბიჭურად“ შეკრეჭილი, „ცხენის კუდი“ – თურმე, ქალის თმის ვარცხნილობა მის ბევრ თვისებას ამჟღავნებს. ცხადია, მამაკაცებმა მშვენივრად იციან, რომ ქალბატონები საკუთარ თმის ვარცხნილობას, სიგრძესა და ფერს ხანდახან იცვლიან ხოლმე, მაგრამ, როგორც ფსიქოლოგებმა დადგინეს, ამ დროს, თურმე, გარკვეული ცვლილებები... მათ ხასიათშიც ხდება! თუმცა, ამ ჯერზე ლაპარაკი ქალბატონების მხოლოდ ამორჩეულ თმის ვარცხნილობაზე გვექნება.

ნაწნავი

ნაწნავების მოყვარულ ქალბატონებს, ჩვეულებრივ, საზოგადოებაში ყოფნა უყვართ, ნაკლებად არიან მოწყენილნი, თანაც საკუთარი თავის იმედით მოქმედებენ. ისინი მობილიზებულნი არიან, დასახულ მიზანს თითქმის ყოველთვის აღწევენ. ვინც „კლასიკურ“ ნაწნავს ატარებს, უფრო გულჩათხრობილია, ხოლო მხიარული „კიკინების“ მოყვარულნი უფრო გულგახსნილნი არიან.

მოკლედ შეკრეჭილი თმა

ასეთ ვარცხნილობას ენერგიული და ერთობ დამოუკიდებელი ქალები ატარებენ, რომლებიც ცხოვრებაში საკუთარ წესებს მიყვებიან და გარშემო მყოფთა აზრი უფრო ნაკლებად ადარდებთ. მათ იუმორის კარგი გრძნობა და მაღალი ინტელექტი აქვთ. ასიმეტრიულად ან ოდნავ მოგრძოდ შეჭრილი თმა კი ცოცხალი, მოძრავი ბუნების ნიშანია, რომლის პატრონი საკუთარ გარეგნობასა და ჩაცმულობას დიდ ყურადღებას აქცევს, თანაც მამაკაცებთან ურთიერთობაც უყვარს.

„ცხენის კუდი“

თმის ამ ვარცხნილობის მოყვარული ქალები ამბიციურნი, პატივმოყვარენი და სიმართლის პირში მთქმელნი არიან. ისინი პრაგმატულნი არიან და დასახული მიზნისკენ სიარულს ბევრი მორიდების გარეშე ამჯობინებენ. ასეთი ქალები გარშემო მყოფთა მიმართ საკმაოდ დამთმობნი და კარგი მეოჯახეები არიან, ახლობლებს მუდამ მზრუნველად ეპყრობიან. განსაკუთრებით ბავშვები უყვართ, ისინი გონიერი, მომთმენნი და მზრუნველი დედები არიან.

გრძელი გაშლილი თმა

თმის გაშლა ფაფუკი სულის მქონე მგრძნობიარე ქალბატონებს უყვართ. სახეზე ჩამოშლილი თმით ისინი გარე სამყაროსგან შენიღბვას ცდილობენ. გრძელი, სწორი თმის მატარებელი ქალები, ხშირად, ტრადიციულ, ოჯახში იზრდებოდნენ და საკუთარ ოჯახებსაც ასეთივე ყაიდაზე აწყობენ. ხოლო, თუ გრძელი თმა დახვეულია, ეს იმას ნიშნავს, რომ მის პატრონს მსუბუქი ფლირტი, მხიარული თავყრილობები, მძაფრი შეგრძნებები უყვარს. თანაც საგულისხმოა ისიც, რომ ასეთი ქალი გარეგნულად გულცივი და მიუკარებელ რომც გეგონათ, იცოდეთ, რომ გულის კუნჭულში მას მაინც „ეშმაკუნა უღიტინებს“.

კონად შეკრული თმა

თმის ამ ვარცხნილობის მოყვარული ქალები, კონის ზომისდა მიუხედავად, გულცეცხლიანი, ტემპერამენტიანი, კომუნიკაბელური და საკმაოდ ხმაურიანები არიან, თუმცა კი, ახლო მეგობრები ძალიან ცოტა ჰყავთ. ისინი ყოველთვის ცდილობენ ბრბოდან გამორჩევას, ხშირად საქციელითაც და სამოსელითაც ექსტრავაგანტურნი არიან. ისინი, ვინც თმას კონად კეფაზე იკრავს, მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე, შემოქმედებითი ნატურები არიან, თუმცა კი ცხოვრებაში მის რეალიზებას, დაბალი თვითშეფასების ანდა მორიდებულობის გამო, ვერ ახერხებენ. ამასთან, ხშირად ნევროზულები და ნაირნაირი კომპლექსების მქონენი არიან.

...და ფოთლზე წისქილ საკუთარ თავს...

ინდოელ კრიშნაიტ რაჯნიშ ოშოს მრავალი მილიონი მიმდევარი ჰყავს როგორც თავად ინდოეთში, ასევე მსოფლიოს, ფაქტობრივად, უკლებლივ ყველა მეტნაკლებად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში. ზოგიერთი მისი შეგონება, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისთვისაც საგულისხმო უნდა იყოს.

* ბევრი რამ ადამიანს გულთან იმდენად ახლოს მიაქვს, რომ ეს აუტანელ ტვირთად აწვება. ისწავლეთ, მეტი იცინოთ – სიცილი ლოცვასავით წმინდა რამაა.

* მოწიფული ის კაცია, ვინც საკუთარ თავს აკვირდებოდა და მიაგნო იმას, თუ რა არის მისთვის კარგი და რა – ცუდი. ამიტომ მთელმა სამყარომაც ჭკუის სწავლება რომ დაუწყოს, მისთვის არაფერი შეიცვლება, რადგან იგი საკუთარ გამოცდილებას ემყარება.

* ჩვენ ყველანი განუმეორებელნი ვართ, ამიტომ ნურავის ჰკითხავთ, თუ რა არის სწორი და რა – არასწორი. ცხოვრება ექსპერიმენტია, რომლის დროს თავად უნდა გაარკვიოთ, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი.

* არის მომენტები, როცა უფალი მოდის და კარზე გიკაკუნებთ. სწორედ ესაა სიყვარული, – ეს შეიძლება იყოს კაცი, ქალი, ბავშვი, ყვავილი ან განთიადი... უფალს უამრავი ხერხით შეუძლია თქვენს კარზე მოკაკუნება.

* ცხოვრება საიდუმლოა, მისი წინასწარმეტყველება შეუძლებელია. უბედურება ისაა, რომ ბევრს წინასწარ განსაზღვრული ცხოვრებით სურს იცხოვროს, რათა შიშს თავი დააღწიოს. მაგრამ, საფრთხე თუ არ იქნა, განა შეძლებთ თქვენ საკუთარი შეგნების განმტკიცებას? ეშმას ალტერნატივა რომ არ იყოს, განა იარსებებდა უფლამდე მიღწევის შესაძლებლობა?

* თავდაპირველად განმარტოვდით, ჯერ საკუთარი თავისგან სიამოვნების მიღება ისწავლეთ. ჯერ თავად გახდით ჭეშმარიტად ბედნიერი, რათა შემდგომ აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, მოვა თქვენთან ვინმე თუ არა. თუკი ვინმე გესტუმრებათ, დიდებულია, თუკი არავინ მოგაკითხათ – ესეც ჩინებულია, იმიტომ რომ თავად შეგიძლიათ ააწყოთ სხვებთან ურთიერთობა, როგორც ბატონმა და არა როგორც მონამ.

* თუ მდიდარი ხართ, ნუ ფიქრობთ ამაზე, თუ ღატაკი ხართ – ნურც ამაზე იდარდებთ. თუკი შეგიძლიათ იცხოვროთ და გახსოვდეთ, რომ ქვეყანა – ეს უზარმაზარი წარმოდგენაა, თქვენ თავისუფალი იქნებით და არც ტანჯვა მოგეძალებათ.

* სიმამაცის უმაღლესი განცდა უშიშობაა, თუმცა კი, თავდაპირველად განსხვავება ლაჩარსა და მამაცს შორის დიდი სულაც არ არის: ასეთი ერთადერთი ნიშანი ისაა, რომ ლაჩარი აყურადებს საკუთარ შიშებს და აყოლილია მათზე, მამაცი კი მათ განზე სწევს და გზას განაგრძობს, თავისი შიშების მიუხედავად.

* თქვენ ყოველ წუთს იცვლებით, თქვენ მდინარე ხართ, რომელიც დღეს ერთი მიმართულებით და ერთ პირობებში მიედინება, ხვალ – სხვა მიმართულებით და სხვა გარემოში. ჯერ არასდროს მინახავს ერთი სახე ორჯერ, რადგან ყველაფერი გამუდმებით იცვლება. მაგრამ ამის დასანახად მახვილი თვალია საჭირო, ამიტომ გამოაღვიძეთ საკუთარი შეგნება, გამოაფხიზლეთ გონება. როცა იგრძნობთ, რომ ყველაფერი ყელში ამოგივიდათ, წიხლი საკუთარ თავს უთავაზეთ – საკუთარს და არა სხვას. გაახილეთ თვალები, გაიღვიძეთ. და კვლავ მიუგდეთ ყური საკუთარ თავს.

◎ ბაქო-2015

ევროპულ თამაშებს სამბო დაემატა

2015 წლის 12-28 ივნისს აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო ევროპის პირველ სპორტულ თამაშებს უმასპინძლებს. აქამდე ამ შეჯიბრების პროგრამაში სპორტის 23 სახეობა შედიოდა და ახლა ჩამონათვალს სამბოც დაემატა. ამ სიახლეზე ევროპის ეოკ-თა პრეზიდენტმა პატრიკ ჰიკმა ჯერ კიდევ თბილისში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 25-წლიან იუბილეზე ილაპარაკა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ამ დღეებში მიიღეს. ცხადია, ეს მედლების მოპოვების შანსს გაუზრდის როგორც საქართველოს, ასევე, რუსეთს, ბელარუსსა და აზერბაიჯანს. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სამბო ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს დიდი ოლიმპიადისკენ.



შეგახსენებთ, რომ პირველი ევროპული თამაშების პროგრამაში შემდეგი სახეობები შედის: ცურვა, სინქრონული ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, მშვილდოსნობა, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა, ბადმინტონი, კალათბურთი (3X3), პლაჟის ფეხბურთი, პლაჟის ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, ველორბოლა (ყველა სახეობა), ტანვარჯიში (ასევე ყველა სახეობა), კრივი, ძიუდო, ფარიკაობა, ხელბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტაეკვანდო, ბატუტი, ტრიატლონი და ჭიდაობა.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

ყენია პრაღის „სლავიაში“ ისინჯება

ლევან ყენია პრაღის „სლავიაში“ ვარჯიშობს. ამის შესახებ ჩეხეთის ხსენებული საფეხბურთო კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

სექტემბრიდან მოყოლებული, 24 წლის ფეხბურთელი ჯერ მოსკოვის „ტორპედოში“ ვარჯიშობდა, შემდეგ ტრანსფერები დონეცკის „მეტალურგსა“ და ლვოვის „კარპატიში“ ჩაეშალა, ხოლო ამჯერად „სლავიაში“ ისინჯება.

პრაღელთა ვებგვერდის ინფორმაციით, გუნდის მთავარი მწვრთნელი მიროსლავ ბარანეკი ქართველი შემტევი ნახევარმცველის დატოვება-არდატოვების თაობაზე გადაწყვეტილებას მიმდინარე კვირის ბოლოს მიიღებს.

განვლილი სეზონი ყენიამ გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბ დიუსელდორფის „ფორტუნაში“ გაატარა.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

მცირე ცვლილებებით

წლეულს ქართველმა ჩოგბურთელებმა არაერთ საერთაშორისო ტურნირში ისახელეს თავი, თუმცა ჩავარდნებიც ჰქონდათ. სეზონის მიწურულისკენ ჩვენებურები სულ უფრო ნაკლებ შეჯიბრებაში ცდიან ძალებს – უფრო ახალი სეზონისთვის ემზადებიან, ამიტომაც არის, რომ წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალთა და ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციების (WIA, ATP) განახლებულ რეიტინგებში დიდი ცვლილებები არ განუცდიათ.

ქალთა ერთეულთა თანრიგში რვა ჩვენებურია. მათი მაჩვენებლები ასეთია:

209 (212). სოფიო შაფათავა (244 ქულა), 309 (308). ეკატერინე გორგოძე (127), 433 (449). სოფიო ქვაცაბაია (72). 449 (454). ოქსანა კალაშნიკოვა (67), 707 (710). მარიამ ბოლქვაძე (25), 710 (638). მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი (25), 1166 (1160). თამარ კუტუბიძე (5)7 1251 (1252). თამარ ჭალაგანიძე (3).

წყვილები. 72 (73). კალაშნიკოვა (1125), 171 (169). შაფათავა (373), 409 (413), გორგოძე (110). 433 (434). ქვაცაბაია (98), 893 (977). ბოლქვაძე (16), 1207 (1213). ჭალაგანიძე (7).

ვაჟები. 210 (219). ნიკოლოზ ბასილაშვილი (219), 577 (600). ალექსანდრე მეტრეველი (52), 889 (895). გიორგი ცივაძე (16), 1108 (1114). გიორგი ჯავახიშვილი (8), 1403 (1408). ალექსანდრე ბაკში (3).

წყვილები. 590 (593). ბასილაშვილი (83). 1040 (1244). ალექსანდრე მეტრეველი (26), 1192 (1147). გიორგი ცივაძე (18).

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

მარკოიშვილი დაშავდა და ექიმთა პასუხის მოლოდინშია

„მანუშ ტრავმა მიიღო და მისი დაზიანება რამდენად სერიოზულია, ჯერ არ ვიცით“, – განაცხადა ცსკა-ს მთავარმა მწვრთნელმა დიმიტრის იტუდისმა „ენისეისთან“ მატჩის შემდეგ, რომელიც მოსკოველებმა 92:79 მოიგეს.

ვთბ-ლიგის მორიგ შეხვედრაში ქართველი კალათბურთელი სათადარიგო გახლდათ და მოედანზე სულ 3 წუთის გასული იყო, როდესაც ფეხი გადაიბრუნა.

მარკოიშვილმა თამაში ველარ გააგრძელა. მალევე იგი გამოკვლევაზე წაიყვანეს და ახლა სწორედ ექიმების დასკვნის მოლოდინშია. აღნიშნულ დროში მანუჩარმა 1 ორქულიანი ააცილა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო, აქტივში კი თითო მოხსნა და პასი ჰქონდა.

გასულ მატჩში ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში შედგა, რომელიც ცსკა-მ ერთადერთი ქულით მოიგო, მე-2 ნახევარში კი არმიელთა უპირატესობა აშკარა გახდა და მათ კრასნოიარსკელები იოლად დაამარცხეს.

მოსკოველებს 21 ქულით ფრიძონმა ულიდერა, ჯექსონმა და უიმსმა 11-11 ქულა ჩააგდეს, ვორონცევიჩს კი ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა – 10 ქულა, 9 მოხსნა.

ცსკა 2 მოგებით და 1 მარცხით ვთბ-ლიგაში მე-5 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩი კი 26 ოქტომბერს კიდევ ერთ რუსულ კლუბ „ხიმკისთან“ ელის. მანამდე, 23 ოქტომბერს მარკოიშვილის კლუბი ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ თელ ავივის „მაკაბის“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

ბატონი, შესაძლოა, „პორშეში“ გადავიდეს

არაა გამორიცხული, რომ ჯენსონ ბატონი ფორმულა ერთში თავის ბოლო სეზონს ატარებდეს, მაგრამ მისი, როგორც მრბოლის კარიერა ამით არ დასრულდება. პადოკში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბატონი მოლაპარაკებას „პორშეს“ LMP1 პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, გერმანული კომპანიის წარმომადგენლებთან აწარმოებს და არაა გამორიცხული, რომ ის მარკ ვებერის გზას გაჰყვეს, რომელიც ამ სეზონიდან სწორედ „პორშესთან“ ერთად მონაწილეობს გამძლეობაზე რბოლების მსოფლიო ჩემპიონატში.

ბიბისისთან საუბრისას ბატონის მენეჯერმა რიჩარდ გოდარდმა განაცხადა, რომ „მაკლარენში“ დარწმუნებულნი არ არიან იმაში, რასაც აკეთებენ და არც ის იციან, რომელი პილოტები უნდა ჰყავდეთ: „ეს აშკარაა, მათ ქმედებებში თავდაჯერებულობა არ იგრძნობა. ჯენსონი კვლავ F1-ზეა ფოკუსირებული, მაგრამ აქ დარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში სურს, თუ ტოპ გუნდში იქნება“.

გამძლეობაზე რბოლების მსოფლიო ჩემპიონატზე (WEC) საუბრისას გოდარდი ამბობს, რომ ეს შესანიშნავი სერიაა, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება. ფაქტია, რომ ეს სერია ტექნოლოგიურად უკვე F1-ის დონეზეა და პოპულარობის მხრივაც მოტოსპორტის მწვერვალს უახლოვდება. ეს განსაკუთრებით ლე მანის 24-საათიან რბოლას და LMP1 კლასს ეხება. LMP1 კლასში მონაწილე კომპანიების რიცხვი თანდათან იზრდება და ეს სერია უმაღლესი კლასის პილოტებსაც იზიდავს.

ბატონის სპეციალიზაცია ღიაბორბლიანი სარბოლო ავტომობილებია, მაგრამ მას ლე მანზე ასპარეზობის გამოცდილებაც აქვს – ერთხელ, 1999 წელს, SP კლასში, „ბეემვეთი“ სპა-ფრანკოშამპის 24-საათიან რბოლაში გამოვიდა.

რაც შეეხება „პორშეს“ მიერ ჩატარებულ წლევანდელ სეზონს, ის სადებიუტო იყო და გუნდის ეკიპაჟებმა მხოლოდ ორჯერ შეძლეს კვარცხლბეკზე ასვლა, თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია და ცუფენჰაუზენელთა სახით „აუდის“ და „ტოიოტას“ მალე ძალიან ძლიერი მეტოქე ეყოლებათ, რომელიც აუცილებლად იბრძოლებს ლე მანზე გამარჯვებისთვის.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

ალინა ბერნანდესი - სასურველი სასურველთა შორის

ბრაზილიელი მოდელის ალინა ბერნანდესის უკანალის შესახებ მის სამშობლოში შეიძლება უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე მუნდიალზე „სელესაოს“ მარცხზე და ეს არცაა გასაკვირი. ამ გავაგანიერმა ქალმა ბრაზილიას ჭეშმარიტად გაუთქვა სახელი, მისმა ფეხბურთელებმა კი პირიქით – ყველა შეარცხვინეს.

ალინა ბერნანდესი კატალონიის „ბარსელონას“ ბრაზილიელ ფეხბურთელზე ნეიმარზე ყოფილა გულშევარდნილი და ამას ჟურნალისტებთან საუბარშიც დაუფარავად აცხადებს. მისი აზრით, ნეიმარი არა მხოლოდ გოლების გატანაში, “ჩვენ რომ ვიცით, იმ ამბავშიც“ მაგარი უნდა იყოს.

ნეიმარისადმი ტრფობის სურვილი ბოლო დროს იმდენმა ლამაზმანმა გამოთქვა, მათი ჩამოთვლაც კი ძალიან რთულია. ამ საერთო ტენდენციას არც ჩვენი ალინა ჩამორჩა. პოპულარობას რა ვუთხარით, თორემ ვითომ ნეიმარზე კარგ და მწყაზარ მამაკაცს არ იმსახურებს? ჰაი ჰაი რომ იმსახურებს!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ პედაგოგის წერილი

სირცხვილია, ქალბატონო თამარ, სირცხვილი!

ბავშვობიდან მძულდა არქიფო სეთური, რომელიც საწყალ ხალხს ტყუილად აზიდინებდა მიწას და ფუჭ იმედს უსახავდა. სიზიფეს შრომაა ეს ყველაფერი და, ღმერთმანი, თქვენ ჩემზე კარგად იცით", – წერს პედაგოგი თამარ ლომიტაშვილი.

ეს წერილი „ნიუპოსტის" რედაქციას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თამარ ლომიტაშვილმა მიაწოდა. პედაგოგი, რომელმაც სერტიფიცირება წარმატებით გაიარა, დღეს განათლების სამინისტროს მიერ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების გაუქმებას ეხმაურება და თამარ სანიკიძეს წერილით მიმართავს.

,,ქალბატონო თამარ, გრივერ ფარულავა, რეზო ბარამიძე, რეზო სირაძე, ნათელა ქუთელია, ლელი ბარამიძე, რუსუდან ნიშნიანიძე, ლევან მენაბდე, რუსუდან ცანავა, მიხეილ ქურდიანი, თინათინ ბოლქვაძე, ავთანდილ არაბული, ზურაბ კიკნაძე, ხვთისო ზარიძე – ეს არასრული ჩამონათვალია იმ პროფესორ- მასწავლებლებისა, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ლექციებს მიკითხავდნენ (რამდენიმე მათგანი ცოცხალი აღარ არის, თუმცა, დღესაც ხშირად ვუსმენ მათ ლექციებს)... ეს ადამიანები, როგორც ღმერთ- კაცები, მომევლინნენ და გამოძერწეს ჩემი სული, გული და პიროვნება. გავკადნიერდები და ვიტყვი, ხეირიან ფილოლოგადაც ჩამომაყალიბეს...იყო კოლოკვიუმები, ჩათვლები, გამოცდები. ბოლოს – დიპლომის დაცვა და ნანატრი დიპლომი...

ვის დაჰკარგვიხარ, ერთ მშვენიერ დღესაც გამოცდების ჩაბარება მომთხოვეს, რათა ჩემი პედაგოგუნარიანობა დამემტკიცებინა. ვიზუთხე პიაჟეს, მასლოუს, ბლუმის, გარნერის და ა.შ ფსიქოლოგთა თეორიები (ვერავინ მიხვდა, რომ ამერიკელი და ინგლისელი, თუნდაც ფრანგი ტრადიციების მქონე ფსიქოლოგების თეორიებს ვერ მოვარგებდით ჩვენს სასწავლო პროცესს). რატომღაც დიმიტრი უზნაძის სახელი ეცოტავათ. პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარება თუ ასეთი აუცილებელი და სავალდებულო იყო, რატომ გახდა ნებაყოფლობითი? ვიცი, ეს კითხვა რიტორიკულად დარჩება, მაგრამ იმედს დავიტოვებ, რომ მიპასუხებთ. საგნობრივი გამოცდისთვის რა მომზადება და მეცადინეობა მინდოდა, ზემოთ ჩამოთვლილი ჩემი პროფესორ-მასწავლებლების გვარებს გადახედეთ.

სერტიფიცირებულიც გავხდი. („ათასლარიანი პედაგოგი" მინდოდა ვყოფილიყავი, ინგლისურისა და კომპიუტერის ჩაბარებასაც ვაპირებდი, მაგრამ ეგ გამოცდა გაუქმდა. რატომ? აბა რა ვიცი?) სერტიფიკატს რომ პირველად დავხედე, – მეორედ აღარც გამჩენია ნახვის სურვილი, – ცრემლები მომადგა. აი რას მაუწყებს: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ადასტურებს, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 3 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე თამარ ლომიტაშვილს, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე, მიენიჭა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის უფლება". იცით, რა იყო პირველი სიტყვა, რაც გავიფიქრე? გმადლობთ! დღემდე არ ვიცი მართლა გამიხარდა თუ ირონიული იყო ეს მადლობა...

ქალბატონო თამარ, დღეს მეუბნებით, რომ ეს ყველაფერი არ კმარა და უნდა ჩავერთო სქემაში, რომელიც არ არსებობს... და თუ იმ ქსელში არ გავიხლართები, რომლის თავი და ბოლო კაციშვილმა ვერ გაარკვია, 2-3 წელში ჩემს სერტიფიკატს ვადა გაუვა და ისევ ჩამომერთმევა პედაგოგის სტატუსი. სხვა რომ არაფერი, სირცხვილია, ქალბატონო განათლების მინისტრო!

პედაგოგი
თამარ ლომიტაშვილი.

დათო ნინიძე, ნინო ქორჩილავა თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ნოდარ პავლიაშვილს ძმის

რევაზ პავლიაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო თანაგრძნობას უცხადებს ამავე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროფესორ ნოდარ პავლიაშვილს ძმის

რევაზ პავლიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ალეკო კაკულია, ნინო ბეჟიტაშვილი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ქალბატონ ზანდა გორგოშიძე-ქუთათელაძეს ძვირფასი მეუღლის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის

მიხეილ ქუთათელაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

უკრაინის დღეები თბილისში

საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოში უკრაინის საელჩოს ორგანიზებით, თბილისში უკრაინის დღეები გაიმართება.

ღონისძიების ფარგლებში 24, 25 და 26 ოქტომბერს „ქარვასლაში„ სამი კონცერტი ჩატარდება. თბილისს ეწვევიან და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სცენაზე გამოვლენ წარმატებული უკრაინელი მუსიკოსები: არტემ პოლუდენი (ჩელო), დმიტრი ტკაჩენკო (ვიოლინო), მარგარიტა ხაკიმოვა (ფლეიტა), ოლეგ მოროზი (კლარნეტი), იური ნემიროვსკი (კლარნეტი), იური ლიტუნი (ჰობოი). აგრეთვე, მონაწილეობას მიიღებენ ქართველი შემსრულებლები: თეიმურაზ ჯაიანი (ვიოლინო), გიორგი ცაგარელი (ალტი), ირაკლი ევსტაფიშვილი (ფლეიტა), დირიჟორები კი ნიკოლოზ რაჭველი და ილია ინაიშვილი იქნებიან.

„უკრაინის დღეების" ფარგლებში გაიმართება 2 ნაწარმოების პრემიერა – უკრაინელი კომპოზიტორის ვალერი ანტონიუკის მიერ სპეციალურად „უკრაინის დღეებისათვის" შექმნილი სიმფონია №5 About the War" და ქართველი კომპოზიტორის ლევან ბაშარულის ნაწარმოები After the War, რომლის პრემიერაც 2014 წელს გერმანიაში შედგა. თბილისელი მაყურებელი After The War-ს პირველად სწორედ „უკრაინის დღეების" ფარგლებში, უკრაინელი და ქართველი მუსიკოსების ერთობლივი შესრულებით მოისმენს.

◎ მოგონება

ბატონი ევგენი ახალგაზრდობაში ყანწებს ცლიდა...

ცნობილი ქართველი ასტრონომი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე 1907 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა და 2001 წლის 10 ოქტომბერს გარდაიცვალა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ოქტომბერი ე. ხარაძის თვეა.

როგორც ჩვენმა რედაქციამ შეიტყო, ბატონი ევგენის ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, ამჟამად 90 წელს გადაცილებული პროფესორი ვიქტორ ჯაფიაშვილი, რომელიც 35 წლის განმავლობაში იყო ე. ხარაძის, როგორც აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ამთავრებს მოგონებათა წიგნს ბატონი ევგენი ხარაძის შესახებ. გთავაზობთ ნაწყვეტს მისი მემუარებიდან.

* * *

ღვინის სმასთან ბატონი ევგენის დამოკიდებულება, ანუ ის, რომ წვეთს არ იკარებდა, საყოველთაოდ ცნობილია.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მეტად საქმიანი და გულთბილი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა აბასთუმნისა და ბიურაკანის (სომხეთი) ასტროფიზიკურ ობსერვატორიებს შორის. ყოველწლიურად რიგრიგობით, ხან აბასთუმანში და ხან ბიურაკანში, ვაწყობდით სამეცნიერო კონფერენციებს, რომელთა დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, იმართებოდა გამოსათხოვარი საღამო-ვახშმები.

ერთხელ, აბასთუმანში ჩატარებული ასეთი კონფერენციის დროს, ბიურაკანიდან 20-მდე სტუმარი ქალი და კაცი გვეწვია. სამწუხაროდ, მათ შორის არ იყო ობსერვატორიის დირექტორი, აკადემიკოსი ვიქტორ ამბარცუმიანი. მან ამჯერად ჩამოსვლა ვერ მოახერხა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მისი მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ჩემი კოლეგა, პროფესორი ლიუდვიგ მირზოიანი. კონფერენციამ კარგად ჩაიარა და ვახშამიც გაიმართა. ბატონმა ევგენიმ კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, მაგრამ ვახშამზე დასწრება არ მოისურვა. მე მთხოვა თამადობის გაწევა. აბა, თქვენ იცით, როგორ დროს გაატარებინებთ სტუმრებს, ღვინო არ შემოგაკლდეთ, სტუმრები რიგიანად გამოათვრეთო.



ვახშამი კარგად წარიმართა. სუფრას არც საჭმელსასმელი აკლდა და არც მხიარულება. მე „რბილი თამადობის" გზა ავირჩიე და ღვინის სმის დაძალების ნაცვლად იუმორის გამოყენებას შევეცადე, დასაწყისში ამან კარგი შედეგი გამოიღო, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ სტუმრები სრულიად ფხიზლად გამოიყურებოდნენ და ბატონი ევგენის „დავალებას" ვერ ვასრულებდი. სუფრაზე მოწყენილობაც იკიდებდა ფეხს. ამას ჩემი „მსტოვრების" მიერ მოტანილი ამბავიც დაერთო. თურმე რამდენიმე ახალგაზრდა სტუმარმა საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა – ჩვენ გვეგონა ქართული ღვინო „კისერს მოგვტეხდა", მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე ყოფილა საქმეო...

გვერდით ობსერვატორიის ზუსტი მექანიკოს-ოპტიკოსი, თბილისელი გერმანელი, ქართველთა დიდი მოყვარე და ჩემი პირადი მეგობარი ალექსანდრე (საშა) მაიერი მეჯდა, რომელმაც მშვენივრად იცის ჩვენი ენა. ქართულად გადავულაპარაკე, ნეტავი ახლა ის ყანწი მომცა, შენს სასადილო ოთახში კედელზე გაკრულ ლამაზ ხალიჩას რომ ამშვენებს-მეთქი. მშვენივრად მიმიხვდა ყველაფერს, წამიც არ დაფიქრებულა, წამოხტა, მომაძახა, ახლავე მოვალო და, მართლაც, სულ მოკლე ხანში დაბრუნდა უკან, ჩემი „ნანატრი" ნახევარლიტრიანი ყანწით ხელში. გახარებულმა გავაფრთხილე სანახევროდ აშლილი სუფრის წევრები, რომ ახლა შეისმებოდა ქართული ტრადიციული სადღეგრძელო: „იხარე ჭერო, მოკვდი მტერო", ოღონდ ღვინის დალევა სავალდებულო იქნებოდა იმ მამაკაცებისთვის, რომლებსაც არ „შეეშინდებოდათ" და თანხმობას განაცხადებდნენ ამ სადღეგრძელოს შესმაზე.

იქვე განვაცხადე, რომ სადღეგრძელოს შესმის წესი მკაცრადაა განსაზღვრული. ფეხზე მდგომი თამადა, ხელში ღვინით სავსე ყანწით, წარმოთქვამს სადღეგრძელოს და ცვლის ყანწს ბოლომდე (შეუძლია მცირე შესვენებებით). შემდეგ გადმოაპირქვავებს, რათა საზოგადოება დარწმუნდეს, რომ ბოლომდე დაცალა, შეავსებს ხელახლა და ალავერდს გადადის ნებისმიერ „უშიშარ" თანამეინახესთან თავისი შეხედულების მიხედვით (აქ მოკლედ გავიხსენე სიტყვა „ალავერდის" ეთნოგრაფიული წარმოშობის ისტორია), ყანწის მიმღები ვალდებულია გაიმეოროს იგივე პროცედურა და ყანწი გადასცეს სხვა პირს თავისი შეხუდულებით და ასე შემდეგ, სანამ არ გამოილევა ყანწის გამომცლელთა მსურველები.

ამის გამოცხადების შემდეგ ატყდა დიდი ჟივილ-ხივილი. სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მამაკაცთა უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა ყანწთან „შეჭიდებაზე", ამან კი ძალიან გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება. ზოგიერთებს მართლაც „მოტყდათ კისერი", თუმცა, მაინც თავიანთი ფეხით მიაღწიეს სასტუმრომდე. და როგორც შემდგომში თვითონვე შემოთვალეს ბიურაკანელებმა, „სამუდამოდ დაამახსოვრდათ" ეს დღე.

მეორე დღეს, სტუმრები რომ გავაცილეთ, ბატონმა ევგენიმ თავისთან მიმიწვია სასაუბროდ. მომილოცა კონფერენციის წარმატებით დამთავრება. ვახშმის პერიპეტიებიც ინტერესით მოისმინა და, ჩემდა დიდად გასაკვირად, მითხრა: „იცით, ვიქტორ! ახალგაზრდობაში მე საკმაოდ კარგად ვსვამდი ღვინოს, ყანწებიც ხშირად გამომიცლია". როგორც იტყვიან, ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა...

ვიქტორ ჯაფარიძე

◎ ალიანჩალიანი

ისევ სკოლა აშენდება

დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას ინფორმაციით, დემონტაჟის შემდეგ 61-ე საჯარო სკოლის ადგილას ისევ სკოლა აშენდება.

როგორც დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა, პროექტი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მისივე თქმით, დემონტაჟთან დაკავშირებით ნებართვა გაცემულია. დედაქალაქის მერის ინფორმაციით, განათლების სამინისტროს აქვს შესაბამისი დაფინანსება, რომ დემონტაჟის შემდეგ ახალი სკოლის მშენებლობა სწრაფად დაიწყოს.

ენერგომომარაგებას „თელასი" განახორციელებს

სს „თელასმა" და შპს „სინათლის ქალაქმა" ენერგომომარაგების შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს. როგორც „ინტერპრესნიუსს" „თელასიდან" აცნობეს, კონტრაქტის მიხედვით, კომპანია „სინათლის ქალაქის" ელექტროენერგიით მომარაგებას სს „თელასი" განახორციელებს. შპს „სინათლის ქალაქი" თბილისის გარე განათებას უზრუნველყოფს. აღნიშნული კონტრაქტის მეშვეობით „სინათლის ქალაქის" ენერგომომარაგების საიმედოობა საგრძნობლად გაიზრდება, ხოლო კომპანიის დანახარჯები ელექტროენერგიის შესყიდვაზე სტაბილური გახდება.

მათივე ინფორმაციით, შპს „სინათლის ქალაქი" ყოველწლიურად 50 მილიონ კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიას მოიხმარს. სს „თელასსა" და შპს „სინათლის ქალაქს" შორის დადებული ხელშეკრულება 2015 წლის ბოლომდე იმოქმედებს. ამჟამად ანალოგიური ხელშეკრულების ხელმოსაწერად სს „თელასი"„ მოლაპარაკებას შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან" აწარმოებს.

მცირე ენციკლოპედია

რამდენი დრო დარჩა კაცობრიობას?



ძვეყნიერების დასასრულის შესახებ ადამიანები უხსოვარი დროიდან მოყოლებული ბჭობენ ისევე, როგორც ჟამთა დასაბამიდან გასული წლების თაობაზე დავობენ. ბოლოდროინდელი ყველაზე გახმაურებული ამბავი, რომელმაც მთელი მსოფლიო ააფორიაქა, 2012 წელს მაიას კალენდრით „ნაწინასწარმეტყველებ“ სამყაროს არსებობის შეწყვეტას უკავშირდება, თუმცა, როგორც ვხედავთ, კაცობრიობა ამ თარიღს მშვიდობიანად „გადაურჩა“.

ცოტა ხნის წინათ კი მეცნიერთა ერთდროულად ორმა ჯგუფმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განაცხადა, რომ გარკვეული დროის შემდეგ დედამიწაზე ადამიანის ჭაჭანება აღარ იქნება და ამის „ზუსტი თარიღიც“ – 2 მილიონ 250 ათასი წელი დაასახელეს.

ამ დასკვნამდე სწავლული გეოლოგები და პალეონტოლოგები მას შემდეგ მივიდნენ, რაც ევროპის სამხრეთში, კერძოდ პირენეის მთებში აღმოჩენილი განამარხებული ორგანიზმები შეისწავლეს. მეცნიერთა მტკიცებით, ცოცხალ ორგანიზმთა სიცოცხლისუნარიანობა დნკ-ში თავიდანვეა კოდირებული, თანამედროვე ადამიანმა კი ამ „მოჭრილი“ ვადიდან 250 ათასი წელი უკვე „განვლო“.

ტესტი

როგორი ხასიათი გაქვთ?

ამ მარტივი ტესტის ყველა შეკითხვაზე უნდა გავცეთ მხოლოდ დადებითი („დიახ“) ან უარყოფითი პასუხი („არა“).

1. ხშირად გინდათ, რომ იყოთ მარტო?
ა) დიახ ბ) არა

2. გიყვართ ცხარე კერძები?
ა) დიახ ბ) არა

3. თუ ხართ ხოლმე „საზოგადოების სული და გული“?
ა) დიახ ბ) არა

4. თუ გაქვთ უნარი თქვენთვის ნაცნობ და უცნობ ადამიანებს ელაპარაკოთ ნებისმიერ თემაზე?
ა) დიახ ბ) არა

5. გიყვართ ტელეფონით ლაყბობა?
ა) დიახ ბ) არა

6. ხშირად გინდათ ხოლმე, რომ სიხარულისგან იყვიროთ?
ა) დიახ ბ) არა

7. გიყვართ ცეკვა?
ა) დიახ ბ) არა

8. თქვენს გუნება-განწყობილებაზე თუ აისახება ის, რომ გვიან გიწევთ დასაძინებლად დაწოლა?
ა) დიახ ბ) არა

9. როდესაც პარიკმახერთან მიდიხართ, თუ იცით, როგორი ვარცხნილობა უნდა გაიკეთოთ?
ა) დიახ ბ) არა

10. კბილის უფრო რბილი ჯაგრისი გირჩევნიათ?
ა) დიახ ბ) არა

11. გიყვართ კროსვორდების ამოხსნა?
ა) დიახ ბ) არა

12. გაქვთ მიდრეკილება პესიმიზმისადმი?
ა) დიახ ბ) არა

13. გიყვართ სასიყვარულო რომანების კითხვა?
ა) დიახ ბ) არა

ცხრილის გამოყენებით შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ა	1	4	3	3	3	4	1	1	3	1	1	2	1
ბ	3	1	1	2	1	2	3	2	1	4	4	1	3

თუ შეაგროვეთ სულ 15-დან 21 ქულამდე, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ თქვენ ხართ მგრძნობიარე ნატურა, რომელიც მძიმედ განიცდის ყოველგვარ წყენას, ურჩევნია სიმშვიდე (განსაკუთრებით – სულიერი). თქვენ ხართ კარგი მეგობარი, თუმცა, შეიძლება, ზოგიერთი მიგიჩნევდეთ მომაბეზრებელ ადამიანად.

თუ აღმოგაჩნდათ 22-დან 27 ქულამდე, ეს შეიძლება მოწმობდეს იმას, რომ თქვენ განეკუთვნებით ფლეგმატისტებისა და ფატალისტების კატეგორიას, აგრეთვე იმას, რომ თქვენ, როგორც ჩანს, გაკლიათ კეთილმოსურნე და მომთმენი ნაცნობები, მეგობრები.

თუ მოაგროვეთ 27 ქულაზე მეტი, ეს მიგვითითებს თქვენს გაწონასწროებულ ხასიათზე, უნარზე მოახდინოთ თქვენი გრძნობების, სურვილებისა და მოთხოვნილების კონცენტრირება, აგრეთვე იმაზე, რომ თქვენ ყველაზე ხშირად შეგიძლიათ საღად და სწორად შეაფასოთ თქვენს გარშემო მყოფი ადამიანები.

მერაბ ბერძენიშვილის კარიკატურა

მიხო და დიოგენამ ერთმანეთს აზრები გაუზიარეს.

მიხო: კაცო! ჩემ ქალსა ბავშვი არ უჩნდებოდა, მირჩიეს, ასტალაში გაუშვიო, ეგრეც მოვიქეცი. უკვე ორი წელია, დადის, სულ ტყუპ-ტყუპებს მიჩენს განა!

დიოგენა: გაუშვებდი ქალს, მარა, ეი... კაძახი იქანე დახვდება?!!

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

ცინცხალი ანეკდოტები

პატარა ბიჭუნა დედიკოს ეხვეწება:
— დედი, მოდი პატარა დაია გამიჩინე, რა!
— მე კი მინდა, შვილო, მაგრამ მამაშენი ნებას არ მაძლევს.
— მოდი, მამიკო მივლინებაში რომ წავა, ჩუმად გამიჩინე!

* * *

შეყვარებულები მიხო და მარო სკამზე სხედან, ბადრი მთვარის ცქერით ტკბებიან.
— მიხო, ინგრე გიყვარხარ, როგორც რომეოს ჯულიეტა?
მიხო დუმს.
— ჯო, ინგრე მაინც თუ გიყვარვარ, მეჯნუნს ლეილაი რომ უყვარდა?
მიხო ისევ გალურსული ზის.
— ბაში-აჩუკს მზისაი რო უყვარდა, ისე მაინც შემიყვარებ, ჰა?
— რა გინდა, ქალო, მე მარტო „თხა და გიგო“ მააქ წაკითხული, გინდა გირქინოო?..

* * *

მოსკოვში ლენინგრადის გზატკეცილზე „მომუშავე“ სკოლის მოსწავლე გოგონებმა გაფიცვა მოაწყვეს: მათი კატეგორიული მოთხოვნაა ან უმაღლეს სასწავლებელში გამსვლელი მინიმალური ქულები შეამცირონ, ან გზატკეცილის სიგრძე გაზარდონ.

* * *

სასამართლო პროცესზე:
— ბრალდებულო, თქვენ თაღლითობა გედებათ ბრალად. თქვენი ბრალეულობა იმაში მდგომარეობს, რომ მიამიტ ხალხზე მარადიული ახალგაზრდობის ელექსირს ყიდდით. იყავით თუ არა მანამდე პასუხისგებაში მიცემული?
— დიახ, თქვენო ღირსებავ. მოსამართლეებმა გამამტყუნებელი განაჩენი გამომიტანეს 1404, 1657, 1879 და 1909 წლებში.

* * *

— **ეროტიკული** სიზმრები ხომ არ გაწუხებთ? კითხულობს ფსიქიატრი.
— მაწუხებს? რას ბრძანებთ, ბატონო! — პასუხობს პაციენტი.

* * *

თანამშრომელი ქალები ჭორაობენ:
— ისე მაქვს აშლილი ნერვები, ლამის ჭკუაზე გადავიდე! ქორწილის შემდეგ ზაზა ზედ აღარ მიყურებს.
— შენც ადექი და გაეყარე!
— რას ამბობ, გოგო, ვის გავეყარო? ჩემს საყვარელ ქმარს დათუნას?

* * *

დილით ცოლი ბინის კარს აღებს, ხედავს ზღურბლზე ქმარი წევს.
— ქალო, მთელი ღამე რომ გიკაკუნებდი, კარი რატომ არ გამიღე?
— კი მაგრამ, მე ხომ ვიძახდი: „ვილი, შენა ხარ?“ ხმას რატომ არ იღებდი?
— თავს ხომ გიქნევდი...

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24